შინაარსი:

თავი I. ძირითადი პრინციპები 5

თავი II. ტერმინები და განმარტებები 8

თავი III. შეჯიბრების საერთო პირობები. 33

თავი IV. სპორტული შეჯიბრები. ორგანიზების დეტალები..... 36

თავი V. ტრასები, გზები და ტრეკები. 52

თავი VI. სტარტები. რბოლები. 54

თავი VII. რეკორდები, საერთო პირობები. 59

თავი VIII. მონაწილეები და მრბოლელები. 62

თავი IX. სატრანსპორტო საშუალებები..... 69

თავი X. ოფიციალური პირები, მსაჯები (მარშლები). 72

თავი XI. პენალიზაცია, ჯარიმები, დისკვალიფიკაცია 89

თავი XII. პროტესტები. ჯილდოები. 96

თავი XIII. აპელაცია 101

თავი XIV. კოდექსის მოქმედება. 106

თავი XV. სსსფ-ს გადაწყვეტილებათა სტაბილიზაცია. 108

თავი XVI. საავტომობილო სპორტთან დაკავშირებული
კომერციული საკითხები 109

თავი XVII. წესები შეჯიბრების სასტარტო ნომრებისთვის და
რეკლამის განთავსება ავტომობილზე. 110

TOP

თავი I. ძირითადი პრინციპები

1.1. ეროვნული სპორტული რეგლამენტაცია.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია, შემდგომში სსსფ-დ წოდებული, "სპორტის შესახებ" კანონის შესაბამისად აკრედიტებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს მიერ. მისი პრეროგატივაა, ორგანიზება გაუწიოს საავტომობილო სპორტში ეროვნულ ჩემპიონატებს, პირველობებს, თასის გათამაშებებს, ტროფეებს, სერიებს, ამხანაგური შეხვედრებს, ერთეულ ღონისძიებებს, ღონისძიებათა ჯგუფებს.

სსსფ აღიარებულია საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის - FIA (სსფ) მიერ როგორც ორგანო, რომელიც არის ერთადერთი უფლებამოსილი, მართოს საავტომობილო სპორტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ასევე როგორც სსფ-ს პირდაპირი წარმომადგენელი, უფლებამოსილია გამოიყენოს სპორტული და ტექნიკური რეგლამენტები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის უსაფრთხოების ყველა ასპექტში, რომელიც განსაზღვრულია სსფ-ს მიერ.

სსსფ უფლებამოსილია შეიმუშაოს და გამოიყენოს რეკორდის დასამყარებლად მოწყობილი საავტომობილო შეჯიბრის და რბოლების, ორგანიზების და ჩატარების წესები.

სსსფ წარმოადგენს არბიტრის ბოლო ინსტანციას საქართველოს ტერიტორიაზე. სსსფ უფლებამოსილია გადაწყვიტოს დავები რომელიც დაკავშირებულია საავტომობილო სპორტის (ოთხ და მეტ ბორბლიან) სფეროსთან და ამ სფეროში დადგენილი წესების შესრულებასთან.

1.2. **სსსფ-ის სპორტული კოდექსი**.

ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების რეალიზაციისთვის სსსფ გამოსცემს წინამდებარე "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტულ კოდექსს" შემდგომში "სსსფ-ს სკ". წინამდებარე კოდექსის მიზანია ქართული საავტომობილო სპორტის შემდგომი განვითარება, რეგულირება და ხელშეწყობა. ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენებოდეს შეჯიბრის ჩატარების აკრძალვებისთვის ან ხელის შეშლისთვის ან მათში მონაწილეობის ხელის შეშლისთვლის.

სსსფ იტოვებს უფლებას ზემოთაღნიშნულ შემთხვევებზე აკრძალვები გამოიყენოს გამონაკლის შემთხვევებში, როცა საავტომობილო სპორტის შეჯიბრის უსაფრთხოდ, სამართლიანად და სსსფ-ს მიერ დადგენილი წესების დაცვით ჩატარება დგება ეჭვის ქვეშ.

1.3. **საქართველოში საავტომობილო სპორტის ხელმძღვანელობა**.

სსსფ არის სსფ-ს წევრი, იცავს საერთაშორისო სპორტულ კოდექსს (სსკ) და ექვემდებარება სსფ-ს ყველა გადაწყვეტილებას.

სსსფ მიჩნეულია სსფ-ს სპორტულ ორგანოდ, რომელიც კომპეტენტურია საერთაშორისო სპორტული კოდექსის გამოყენებაში და ანხორციელებს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საავტომობილო სპორტის ხელმძღვანელობას.

სსსფ წარმოადგენს საკუთარი წევრების, რეგიონალური წარმომადგენლების და სსსფ-ში გაწევრიანებული ფედერაციების ინტერესებს.

1.4. **სპორტული ძალაუფლების გადაცემა**.

სსსფ-ს უფლება აქვს სსფ-ს წინასწარი თანხმობით მთლიანად ან ნაწილობრივად გადასცეს სსკ-ს თანახმად მისთვის მინიჭებული საკუთარი სპორტული ხელისუფლება ერთ ან რამოდენიმე რეგიონალურ განყოფილებას და სსსფ-ს წევრ-ფედერაციებს.

1.5. **უფლებამოსილებების გამოთხოვნა**.

სსსფ–მ შეიძლება გააუქმოს საკუთარი სპორტული ხელისუფლების გადაცემა, რის შესახებაც ინფორმაციას აწვდის სსფ-ს.

1.6. **ეროვნული სპორტული რეგლამენტაცია**.

სსსფ–ს უფლება აქვს შეიმუშაოს საკუთარი ეროვნული სპორტული რეგლამენტაცია (წესები), რომელიც წარედგინება სსფ-ს.

თავი II. ტერმინები და განმარტებები

ქვემოთ მოცემულია ტერმინები, განსაზღვრებები და შემოკლებები რომლებიც გამოიყენება წინამდებარე კოდექსში და მათ გააჩნიათ ერთიანი მნიშვნელობა მის დანართებში, ნორმატიულ დოკუმენტებში და მათ დანართებში და აგრეთვე ყველა ცალკეული შეჯიბრების რეგლამენტებში.

2.1. სსსფ – საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია.

2.2. სსფ ან **(FIA)** - საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია.

2.3. ესფ - ეროვნული საავტომობილო ფედერაცია ან ეროვნული კლუბი, სსფ-ს მიერ მიჩნეულია სპორტული ხელისუფლების მქონედ ქვეყანაში. ესფ-ს საქართველოში წარმოადგენს სსსფ.

2.4. ესფ-ს სკ. - ესფ-ს სპორტული კომიტეტი. სსსფ-ს საბჭო სპორტის საკითხში.

2.5. სსფ-ს სსკ. - სსფ-ს საერთაშორისო სპორტული კოდექსი.

2.6. მიწისზედა სატრანსპორტო საშუალება - გადასაადგილებლად განკუთვნილი აპარატი, რომელიც მოძრაობაში მოდის მასზე განთავსებული ენერგიის წყაროს მეშვეობით და რომელიც მუდმივად ეყრდნობა მიწის ზედაპირს უშუალოდ მზიდი მექანიკური მოწყობილობების მეშვეობით ან სხვაგვარად, მზიდი საჰაერო ფენის გამოყენებით, რომლის სიჩ-

TOP

ქარე და მოძრაობის მიმართულება მთლიანად და მუდმივად კონტროლდება მძღოლის მიერ, რომელიც იმყოფება ამ სატრანსპორტო საშუალებაში.

2.7. ავტომობილი - მიწის ზედა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მოძრაობაში მოდის მასზე განლაგებული ენერგიის წყაროდან, გადაადგილდება არანაკლებ ოთხ მბრუნავ ბორბალზე, რომლებიც არ იმყოფებიან ერთ სივრცეში და არიან მუდმივ კონტაქტში მიწის ზედაპირთან, რომლიდანაც სულ მცირე ორი არის მიმმართველი და სულ მცირე ორი წამყვანი.

2.8. სპეციალური სატრანსპორტო საშუალება - სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც აქვს არანაკლებ ოთხი ბორბალი, რომლის გადაადგილება არ არის უზრუნველყოფილი ბორბლების მეშვეობით.

2.9. სატრანსპორტო საშუალება მზიდ ფენაზე - სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაადგილებისას ეყრდნობა მიწის ზედაპირს მის ქვეშ არსებული ჰაერის შეკუმშვის მეშვეობით.

2.10. ძრავის სამუშაო მოცულობა - მოცულობა, წარმოშობილი ძრავის ცილინდრში (ან ცილინდრებში) დგუშის ან დგუშების უკიდურეს ზედა და უკიდურეს ქვედა პოზიციებს შორის. ეს მოცულობა გამოიხატება კუბურ სანტიმეტრებში და მისი გაანგარიშებისას რიცხვი "პი" მიიჩნევა **3,1416**-ის ტოლად.

2.11. ავტომობილების კლასიფიკაცია - ავტომობილთა გაერთიანება ძრავის სამუშაო მოცულობის ან ნებისმიერი სხვა მახასიათებლების მიხედვით.

TOP

2.12. შეჯიბრი, სპორული ღონისძიება, რბოლა:

1.12.1. შეჯიბრი – ეს არის სპორტული ღონისძიება ავტომობილთა მონაწილეობით, რომელსაც გააჩნია რეიტინგის განსაზღვრის პრინციპი და აქვს შედეგების შედეგების განსაზღვრის მეთოდი. ყველა ტიპის შეჯიბრს გააჩნია შეჯიბრის დებულება, რომელიც განსაზღვრავს შეჯიბრის ჩატარების პრინციპს, წესებს და რეგულაციებს. არსებობს საერთაშორისო და ეროვნული სტატუსის შეჯიბრები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება იყოს ღია ან დახურული. სსსფ არის ერთადერთო ორგანო საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ჩემპიონატების, თასების და სხვა საავტომობილო ღონისძიებების ჩატარების პირობებს. ამასთანავე ადგენს მათი ჩატარების წესს უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. შეჯიბრი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე რბოლისაგან, ფინალისაგან, თავისუფალი ვარჯიშისაგან, საკვალიფიკაციო რბოლებისაგან ან დაიყოს ნაწილებად რაიმე სახით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის უნდა დამთავრდეს ერთ სპორტულ შეხვედრაში. შეჯიბრი იწყება ტექნიკური დათვალიერებით. მასში შედის ვარჯიშები და თვითონ შეჯიბრი. სსსფ-ს სპორტულ კალენდარში არ შეიძლება იყოს შეჯიბრი, რომელიც სსსფ-ში არ არის დარეგისტრირებული.

2.12.2. სპორტული ღონისძიება - შეიძლება შედგებოდეს გამოფენებისგან, თამაშებისგან, შოუებისგან, რბოლებისგან და თავისუფალი ვარჯიშებისგან ან შეიძლება დაყოფილი იყოს ნაწილებად რაიმე სხვა საშუალებით, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს დასაწყისი და დასასრული. სსსფ–ს სპორტულ კალენდარში არ შეიძლება იყოს ჩართული ღონისძიებები, რომლებიც წარმოადგენს სსსფ-ს მიერ არ აღ-

იარებულ სპორტულ ღონისძიებას. ყველა ოფიციალური ინ-ტერპრეტაციები და ტექნიკური მოთხოვნების განმარტებები შეიძლება გაკეთებულ იქნას მხოლოდ სსფ-ს ან შესაბამისად სსსფ-ს მიერ. ტექნიკური მოთხოვნების შეცვლა შესაძლებელია წინასწარი წერილის საფუძველზე, დადებითი პასუხის შემთხ-ვევაში, რომელიც განიხილება სსფ-ს ან სსსფ–ს მხრიდან.

2.12.3. საერთაშორისო შეჯიბრი – ეს არის შეჯიბრი, რომე-ლიც პასუხობს უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებს, აღწერილს სსფ-ს სსკ-ში და მის დანართებში. იმისათვის, რომ მივიღოთ საერთაშორისო სტატუსი, შეჯიბრი უნდა პასუხობ-დეს, ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებს:

- საერთაშორისო შეჯიბრისთვის წრიულ ტრასებზე. ტრა-სას უნდა გააჩნდეს სსფ-ს შეჯიბრებში დაშვებული ავტომო-ბილების კატეგორიის შესაბამისი ლიცენზია;
- საერთაშორისო რალისთვის და რალი რეიდებისთვის დაცული უნდა იყოს სსფ-ს სსკ-ს დებულება;
- შეჯიბრებზე დაშვებული მონაწილეები და მრბოლელე-ბი უნდა იყვნენ შესაბამისი საერთაშორისო ლიცენზიების მფლობელები, რომლებიც აღრიცხულია სსსფ-ს მიერ;
- შეჯიბრი შეყვანილი უნდა იყოს სსფ-ს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში. საერთაშორისო სპორტულ კალენ-დარში ჩართვის უფლება აქვს სსფ-ს ქვეყნის ესფ –ს მოთხ-ოვნით, სადაც ტარდება შეჯიბრება.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული შეჯიბრისთ-ვის ასეთი ჩართვა ხდება სსსფ–ს შუამდგომლობით, უარის შემთხვევაში სსფ ვალდებულია მიუთითოს მიზეზი.

მხოლოდ საერთაშორისო შეჯიბრები შეიძლება წარმოად-გენდეს საერთაშორისო ჩემპიონატების, თასების, ჩელენჯებ-ის, ტროფეების ან საერთაშორისო სერიების ეტაპებს, აღი-არებულს სსფ-ს მიერ.

საერთაშორისო შეჯიბრები, რომლებიც შედის საერთაშორისო ჩემპიონატებში, თასებში, ჩელენჯებში, ტროფეებში ან საერთაშორისო სერიებში და რომელსაც მინიჭებული აქვს სსფ-ს სახელი უნდა ტარდებოდეს სსფ-ს მხრიდან სპორტული მეთვალყურეობის ქვეშ სპორტული ხელისუფლების ესფ-სთვის გადაცემის გარეშე.

ყველა დანარჩენი საერთაშორისო შეჯიბრებისთვის სსფ იქნება პასუხისმგებელი მის ქვეყანაში სსფ-ს სსკ-ს მიერ დადგენილი საერთაშორისო სპორტული რეგლამენტაციების დაცვაზე.

საქართველოს ჩემპიონატის ან საქართველოს ტერიტორიაზე სხვა შეჯიბრის შემადგენლობაში შემავალი შეჯიბრის ჩატარებისას, რომლებიც ესადაგება საერთაშორისო სტატუსის მქონე შეჯიბრებს, დგება საქართველოს ჩემპიონატში ან სხვა ქართულ შეჯიბრებაში მონაწილე მრბოლელთა შემაჯაბემელი შედეგების ცალკე ოქმი. ავტომობილებით მონაწილე მრბოლელების შედეგები, რომელთაც არ გააჩნიათ სსფ-ს ომოლოგაცია, საერთაშორისო შეჯიბრების შემაჯამებელ ოქმში არ შეჰყავთ.

2.12.4. ეროვნული შეჯიბრი - ნებისმიერ სპორტულ შეჯიბრს, რომელიც ტარდება სსსფ-ს ზედამხედველობით, სსსფ-ს ორგანიზებით ან რომელშიც მონაწილეობენ სსსფ-ს მიერ გაცემული ეროვნული ლიცენზიის მქონე მრბოლელები და რომელიც შესულია სსსფ-ს მიმდინარე წლის სპორტულ კალენდარში, ეწოდება ეროვნული შეჯიბრი.

ეროვნული შეჯიბრი არ შეიძლება შედიოდეს საერთაშორისო ჩემპიონატში ან სერიაში და არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო შეჯიბრის შედეგების დათვლისას გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი.

სსსფ–ს გადაწყვეტილებით ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობისათვის შეიძლება დაშვებულ იქნან სხვა ესფ-ს მიერ გაცემული ლიცენზიათა მფლობელები, თუ ასეთი შეჯიბრი არის ეროვნული ოფიციალური შეჯიბრის ან სერიის ნაწილი.

ნებისმიერი ეროვნული შეჯიბრი უნდა შედიოდეს სსსფ–ს ეროვნულ კალენდარში.

პროფესიონალი მონაწილეები და მრბოლელები, რომელთაც გააჩნიათ ევროკავშირის ან მსგავსი ნებისმიერი ქვეყნის ლიცენზია, რომელიც ასეთად მიჩნეულია სსფ-ს მიერ, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ და მიიღონ ქულები ეროვნულ შეჯიბრებში, რომელიც ტარდება ევროკავშირში ან მსგავს ქვეყნებში მათ მოქალაქეებთან გათანაბრებულად.

2.12.5. სსსფ–ს ოფიციალური შეჯიბრი – სსსფ-ს ოფიციალურ შეჯიბრებს წარმოადგენს ჩემპიონატები, პირველობები და საქართველოს თასის გათამაშებები, სსსფ–ს ჩემპიონატები, პირველობები, ტროფეები, სერიები, თასების გათამაშებები, ამხანაგური შეხვედრები და ა.შ.

ზემოაღნიშნული შეჯიბრები, ასევე ტრადიციული შეჯიბრები, ჩართული ფიზიკური კულტურის და სპორტის დარგში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ეროვნულ, საერთაშორისო და რეგიონალურ სპორტულ ღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში წარმოადგენს საქართველოს ოფიციალურ შეჯიბრებს.

2.12.6. კლასიფიცირებადი შეჯიბრი - კლასიფიცირებულად ითვლება შეჯიბრი, რომელიც ჩართულია სსსფ–ს საავტომობილო სპორტის შეჯიბრებათა კალენდარში. მოცემულ შეჯიბრში ნაჩვენები შედეგები აღიარებულია ოფიციალურად და შეიძლება იყოს საფუძველი ლიცენზიების, სპორტული თანრიგების და წოდებების მისაღებად.

TOP

2.12.7. არაკლასიფიცირებადი შეჯიბრი - შეჯიბრი, რომელიც არ არის ჩართული სსსფ–ს საავტომობილო სპორტის შეჯიბრებათა კალენდარში, მაგრამ ტარდება წინამდებარე კოდექსის თანახმად. ასეთი შეჯიბრის ჩატარება სანქციონირებულია რეგიონალური განყოფილებით ან სსსფ–ს წევრ-ფედერაციის მიერ შეჯიბრის რეგლამენტის დამტკიცების გზით და რომელზეც დაკვირვებას ახდენს სსსფ-ს ოფიციალური წარმომადგენელი უსაფრთხოების რეგულაციების კონტროლისა და მონიტორინგის მიზნით.

ასეთი შეჯიბრის შედეგები არ არის აღიარებული ოფიციალურად კლასიფიკაციისა და სპორტული წოდებების და თანრიგების მისაღებად.

2.12.8. შეზღუდული შეჯიბრი - ეროვნული და საერთაშორისო შეჯიბრი, რომელზეც მისი მონაწილეები და მრბოლელები უნდა პასუხობდნენ განსაკუთრებულ პირობებს. კერძოდ, შეჯიბრები, რომლებშიც მონაწილეობენ მხოლოდ მოსაწვევებით, წარმოადგენს შეზღუდულ შეჯიბრებეს.

ზოგიერთ განსაკუთრებულ ვითარებაში სსფ-ს შეუძლია ნება დართოს, შეზღუდული საერთაშორისო შეჯიბრის ჩატარებაზე, რომლებიც მათი სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს ორგანიზებული სსფ-ს სსკ-ს დანართი «O»-ს დაცვის გარეშე, მაგრამ ესფ-სგან განაცხადის საფუძველზე შევიდეს სსფ-ს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში.

2.12.9. დახურული შეჯიბრი - ეროვნული შეჯიბრი, რომელიც შეიძლება იწოდოს დახურულად, თუ მასში მონაწილეობისთვის დაიშვებიან მხოლოდ კლუბის წევრები, რომელთაც თავად აქვთ სსსფ–ს ლიცენზიები (მონაწილის ან მრბოლელის). ასეთი შეჯიბრის ჩატარებისთვის საჭიროა სსსფ–ს ნებართვა.

TOP

2.13. ავტოსპორტის შეჯიბრების სახეობები (პროგრამათა სახეობები).

არსებობს საავტომობილო შეჯიბრებათა სხვადასხვა სახეობები, რომლებიც მოიცავს ავტოსპორტის ერთ ან რამოდენიმე დისციპლინას. შეჯიბრის ყოველი სახეობა ორგანიზებულია და ტარდება სსსფ–ს მიერ დამტკიცებული წესების თანახმად.

2.13.1. ავტოსპორტის დისციპლინა - შეჯიბრი, რომელიც ტარდება საავტომობილო სპორტის შეჯიბრის სახეობის წესების თანახმად ავტომობილთა კლასებში, ჯგუფებში, ფორმულებში (ჩათვლის ჯგუფებში), რომლებიც სახელდობრ მითითებულია სპორტის სახეობათა რეესტრში (სსრ), რომელიც მტკიცდება ფიზიკური კულტურის და სპორტის დარგში აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს მიერ.

2.13.2. მრავალეტაპიანი შეჯიბრი - შეჯიბრი, რომლის შემაჯამებელი შედეგი განისაღვრება შედეგთა ჯამით, ნაჩვენებით მის ცალკეულ ეტაპებზე (ივენთებზე).

2.13.3. ეტაპი - მრავალეტაპიანი შეჯიბრის შემადგენელი ნაწილია, რომელში მონაწილეობის შესაძლებლობას თავად განსაზღვრავს მონაწილე.

2.13.4. რალი და რალი რეიდერები. – არსებობს რამოდენიმე სახის რალი:

2.13.4.1. პირველი კატეგორიის რალი – არის სპორტული შეჯიბრი მოცემული საშუალო სიჩქარით, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ტარდება საერთო სარგებლობის გზებზე. რალი შედგება, ერთი საერთო ან რამოდენიმე მარშრუტის-

გან, რომლებიც ერთდება ერთ წინასწარ მითითებულ ადგილზე და რომლის შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს ან არ გაგრძელდეს საერთო მარშრუტი.

მარშრუტი შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამოდენიმე სპეციალურ მონაკვეთს, ანუ შეჯიბრებს, ჩატარებულს გზებზე, რომლებიც დახურულია საერთო სარგებლობისათვის და ერთად აღებული ისინი განსაზღვრავენ რალის საერთო შედეგს.

სპეც მონაკვეთებისთვის გამოუყენებელ მარშრუტებს ეწოდებათ საგზაო სექციები, რომლებზეც სიჩქარე არასდროს არ შეიძლება იყოს კლასიფიკაციისათვის განმსაზღვრელი ფაქტორი.

2.13.4.2. მეორე კატეგორიის რალი (ტურისტული შეკრება) – არის შეჯიბრი, რომელიც ჩატარებულია ერთი მიზნით შეიკრიბოს ყველა მონაწილე წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე.

ასეთ რალიში შეიძლება დაწესდეს საკონტროლო პუნქტები, რომლის თანმიმდევრული გავლა არის სავალდებულო, გავლის სიჩქარე არარეგლამენტირებულია და მონაწილეების შეკრება ხდება რალის საბოლოო პუნქტში (შეკრების ადგილი). ასეთი რალი შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამოდენიმე დამატებით შეჯიბრს, რომელიც ტარდება რალის საბოლოო პუნქტში. ჩქაროსნული დამატებითი შეჯიბრები მეორე კატეგორიის რალიში არ გამოიყენება.

ამ რალიში არ უნდა იყოს დაწესებული არანაირი ფულადი პრიზები.

მეორე კატეგორიის რალი არ შეჰყავთ სპორტულ კალენდრებში, ხოლო მათ მონაწილეებს შეიძლება არ ქონდეთ ლიცენზიები. ასეთი რალის ყველა დოკუმენტს უნდა ჰქონდეს ქვესათაური "ტურისტული შეკრება".

თუ მეორე კატეგორიის რალი ტარდება ერთ-ერთი ესფ-ს

ტერიტორიაზე, მისი მონაწილეები არ არიან ვალდებულნი იქონიონ ლიცენზიები.

2.13.4.3. მესამე კატეგორიის რალი (სამოყვარულო რალი) - პირველი კატეგორიის რალისგან განსხვავებით გარდა საგზაო შეჯიბრებისა მოიცავს დამატებით შეჯიბრებას, რომლის გავლის სიჩქარეც სავალდებულო არ არის იყოს მთავარი ფაქტორი შედეგის განსაზღვრისათვის. მესამე კატეგორიის რალიში სპეციალური მონაკვეთები არ გამოიყენება. ასეთი რალის მიმდინარეობის დროს (დამატებითი შეჯიბრის ჩათვლით) ყველა მონაწილე ვალდებულია დაიცვას სიჩქარის შეზღუდვები, დაწესებული საქართველოში მოქმედი საგზაო მოძრაობის წესებით.

2.13.4.4. რალი-რეიდი – ეს არის შეჯიბრი საშუალო სიჩქარით, რომელიც გადის უგზო მონაკვეთზე ან საერთო სარგებლობის გზაზე და მოიცავს რამდენიმე სპეციალურ მონაკვეთს (სმ), რომლის მარშრუტიც ფარავს ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის ტერიტორიას. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა მოცემული ქვეყნების სპორტული ხელისუფლების ნებართვის მიღება. ყოველი სპეც მონაკვეთის-ს სიგრძე არ შეიძლება აღემატებოდეს **500** კმ, ხოლო შეჯიბრების საერთო დისტანცია უნდა იყოს არანაკლებ **800** კმ.

შეჯიბრებში შეიძლება მონაწილეობდნენ მხოლოდ რალი-რეიდებისთვის განკუთვნილი ავტომობილები (ტ ჯგუფი), აღწერილი სსფ-ს და სსსფ–ს მოთხოვნებში.

2.13.4.5. რალი რეიდი მარათონი - მარათონი აუცილებლად უნდა იქნას შეტანილ სსფ-ს საერთაშორის კალენდარში. ერთ წელიწადში შესაძლებელია მხოლოდ ერთი მარათონის ჩატარება ყველა კონტინენტის გავლით.

შეჯიბრების საერთო დისტანცია უნდა იყოს არანაკლებ

10000 კმ, ერთი დღის საერთო დისტანცია არ არის რეგლამენტირებული.

შეჯიბრის საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **31** დღეს, მოსამზადებელი პერიოდის და ტექნიკური შემოწმებების ჩათვლით.

ამ შეჯიბრებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ რალი-რეიდებისთვის განკუთვნილმა ავტომობილებმა (ტ ჯგუფი), აღწერილი სსფ-ს ტექნიკურ წესებში.

2.13.5. რბოლები - შეჯიბრები, რომელთათვისაც განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევა დისტანციის დაფარვის სიჩქარე ან ფინიშის ზოლის გადაკვეთის წესი. დადგენილია შემდეგი სახეობების რბოლების განსაზღვრებები:

2.13.5.1. წრიული რბოლა – ეს არის რბოლა ჩაკეტილ შეკრულ წრიან ტრასაზე, რომელსაც ავტომობილები არაერთგზის გადიან შეჯიბრის დროს.

2.13.5.2. წრფივი რბოლა – ეს არის რბოლა ჩაუკეტავ ტრასაზე.

2.13.5.3. სამთო რბოლა - ხაზის რბოლა ტრასაზე, რომელსაც აქვს სიმაღლეების მნიშვნელოვანი ცვალებადობა სტარტისა და ფინიშის ხაზებს შორის.

2.13.5.4. სატრეკო რბოლა - რბოლა ჩაკეტილ ტრასაზე, რომელიც წარმოადგენს ორ ნახევარწრეწირს, შეერთებულს სწორხაზოვანი მონაკვეთებით (სტადიონის, იპოდრომის სარბენი გზები და ა.შ.), რომელშიც განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება ფინიშის ხაზის გადაკვეთის წესი.

2.13.5.5. კროსი - როგორც წესი რგოლური რბოლა, რომ-

ლის ტრასა მთლიანად ან ნაწილობრივ გაყვანილია რელიეფიან მიდამოებში.

2.13.5.6. ტრაიალი - საავტომობილო შეჯიბრი, რომელიც გადის რელიეფიან ლანდშაფტზე და დაყოფილია ჩათვლის სექციებად. ის წარმოადგენს დახურულ ბუნებრივ ან ხელოვნურ ტრასას.

ტრაიალის ძირითად შეჯიბრებით ფაქტორს წარმოადგენს ტრასაზე განლაგებული მიმთითებელი მოსახვევებიანი დაბრკოლებების უშეცდომოთ გადალახვა მინიმალურ დროში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს დროის მოცემულ ლიმიტს.

2.13.6. შეხვედრა. აღლუმი. დემონსტრაცია.

2.13.6.1. შეხვედრა - მონაწილეთა და ოფიციალურ პირთა შეკრება, რომელთა მიზანია ერთი ან რამოდენიმე შეჯიბრის ჩატარება ან რეკორდის დამყარების რამოდენიმე მცდელობა.

2.13.6.2. აღლუმი - ზომიერი სიჩქარით მოძრავი ავტომობილთა ჯგუფის წარდგენა. ამ დროს დაცული უნდა იქნას შემდეგი პირობები:

- ერთი ოფიციალური ავტომობილი უდგას სათავეში აღლუმს, ხოლო მეორე ოფიციალური ავტომობილი დგას კოლონის ბოლოს;
- ამ ორ ოფიციალურ ავტომობილს უნდა მართავდნენ გამოცდლი მძღოლები ღონისძიების ხელმძღვანელის კონტროლის ქვეშ;
- გასწრება კატეგორიულად იკრძალება;
- ქრონომეტრაჟი აკრძალულია;
- ავტომობილებზე არ უნდა იყოს არანაირი რბოლის ნომრები, გამონაკლისია ის ავტომობილები, რომლებიც ისტორიულად არიან დაკავშირებულნი გარკვეულ ნომერთან. ორგა-

ნიზატორს შეუძლია გამოიყენოს ავტომობილების იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები (ასოები ან რიცხვები გვერდით შუშებზე და ა.შ.), მაგრამ ასეთი იდენტიფიკაციის საშუალებები უნდა წაიშალოს, როცა ავტომობილი ტოვებს აღლუმის ჩატარების ადგილს;

- კერძო რეგლამენტში მოცემული უნდა იყოს საჭირო ინფორმაცია აღლუმზე, ხოლო შეჯიბრის ოფიციალურ პროგრამაში მითითებული მასში მონაწილე ავტომობილები.

2.13.6.3. დემონსტრაცია - ავტომობილის შესაძლებლობების დემონსტრირება. ამ დროს დაცული უდნა იყოს შემდეგი პირობები:

- **5**-ზე მეტი ავტომობილის დემონსტრირება ხდება უსაფრთხოების ავტომობილის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რომელიც თავში მოძრაობს და მას მართავს გამოცდილი მრბოლელი შეჯიბრის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით;
- ყველა მსაჯი ტრასაზე უნდა იყოს თავის ადგილებზე;
- მრბოლელები ეკიპირებულნი უნდა იყვნენ უსაფრთხოების საშუალებებით (რეკომენდირებულია სსფ-ს მიერ დამტკიცებული კომბინიზონები და ჩაფხუტები), ორგანიზატორებს შეუძლიათ დააწესონ მინიმალური მოთხოვნები ეკიპირების მიმართ;
- ავტომობილებმა უნდა გაიარონ უსაფრთხოების ტექნიკური კონტროლი;
- ტექნიკური კონტროლის შემდგომ ქვეყნდება დემონსტრაციაზე დაშვებულთა ზუსტი სია;
- მგზავრთა გადაყვანა აკრძალულია;
- გასწრება კატეგორიულად აკრძალულია, გარდა მსაჯების ლურჯი დროშით მანიშნებლისა;
- ქრონომეტრაჟი აკრძალულია;
- კერძო რეგლამენტში მოცემული უნდა იყოს საჭირო ინფორმაცია აღლუმზე, ხოლო შეჯიბრის ოფიციალურ პრო-

TOP

გრამაში მითითებული მასში მონაწილე ავტომობილები.

- ავტომობილებზე არ უნდა იყოს არანაირი რბოლის ნომრები, გამონაკლისია ის ავტომობილები, რომლებიც ისტორიულად არიან დაკავშირებულნი გარკვეულ ნომერთან. ორგანიზატორს შეუძლია გამოიყენოს ავტომობილების იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები (ასოები ან რიცხვები გვერდით შუშებზე და ა.შ.), მაგრამ ასეთი იდენტიფიკაციის საშუალებები უნდა წაიშალოს როცა ავტომობილი ტოვებს აღლუმის ჩატარების ადგილს;

აღლუმები და დემონსტრაციები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სსსფ-ს ნებართვით.

2.13.6.4. ტესტი (მცდელობა, გავარჯიშება) -ნებადართული შეჯიბრი, რომელშიც ყოველ მონაწილეს შეუძლია აირჩიოს საკუთარი შესრულების დრო შეჯიბრის რეგლამენტის თანახმად გამოყოფილი პერიოდის ფარგლებში.

2.14. ჩემპიონატი, პირველობა, საქართველოს თასი, ტროფეი, სერია, სსსფ–ს თასი, ამხანაგური შეხვედრა - საქართველოს ოფიციალური შეჯიბრებია, რომლებიც რეგისტრირებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოში. რომელიც შედის სპორტული შეჯიბრის, რეგიონთა შორისი, საქართველოს და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებათა ერთიან კალენდარულ გეგმაში და აგრეთვე სსსფ-ს საავტომობილო სპორტის შეჯიბრებათა კალენდარში. მისი ორგანიზება არის მხოლოდ სსსფ-ს პრეროგატივა.

2.14.1. ჩემპიონატი – ეს არის შეჯიბრი, რომლის შედეგის მიხედვით ენიჭება ჩემპიონის წოდება. ჩემპიონატი შეიძლება იყოს ერთი ან მრავალ ეტაპიანი. საქართველოს ჩემპიო-

ნატების გარდა შეიძლება ჩატარდეს საქართველოს სუბიექტების და ფედერალური ოლქების ჩემპიონატები.

საქართველოს ჩემპიონატის და ფედერალური ოლქების ჩემპიონატების ჩატარება არის სსსფ-ს პრეროგატივა, ხოლო საქართველოს სუბიექტების ჩემპიონატი, სსსფ-ს წევრი შესაბამისი საავტომობილო ფედერაციის და სსსფ-ს რეგიონალური განყოფილების პრეროგატივა.

ჩემპიონატის ორგანიზატორად შეიძლება გამოვიდეს როგორც თავად ფედერაცია, ასევე ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი, რომელიც ფედერაციის ზედამხედველობით მოქმედებს.

საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიძლება ჩატარდეს საქართველოს ჩემპიონატის არაუმეტეს ერთი ეტაპისა შემდეგი პირობების შესრულების შემთხვევაში:

- ქვეყანას, რომლის ტერიტორიაზე ტარდება ჩემპიონატის ეტაპი, აქვს საქართველოსთან საერთო საზღვარი;
- ჩემპიონატის ტექნიკური და სპორტული რეგლამენტები მისაღებია სსფ-სთვის;
- ტრასა, რომელზეც ტარდება ეს ღონისძიება, რეგისტრირებულია და მისაღებია სსფ-სთვის და ამ ღონისძიების ჩატარებისას დაცულია სსფ-ს ყველა მოთხოვნა, დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხებთან და სამედიცინო უზრუნველყოფასთან.

2.14.2. პირველობა, თასის გათამაშება, ტროფი, სერია და ჩემპიონატი - შეიძლება იყოს ერთი ან მრავალეტაპიანი. ისინი ტარდება ერთიანი რეგლამენტის მქონე დოკუმენტის თანახმად.

სხვა იურიდიული პირის მიერ შეჯიბრის ჩასატარებლად საქართველოში საჭიროა სსსფ-სთან წინასწარი წერილობითი თანხმება და შემდეგი მოთხოვნების შესრულება:

- სსსფ-ს მიერ შეჯიბრის რეგლამენტისა ან ასეთი შეჯიბრის სერიის დამტკიცება;
- სერიის კალენდრის დამტკიცება;
- სსსფ-ს ყველა ნებართვის და რეგულაციის წინასწარი შესრულება (შემოთავაზებულ თარიღებთან ერთად).
- ნებართვები და შეთანხმებები ვის ტერიტორიაზეც ტარდება ერთი ან რამოდენიმე შეჯიბრება, რომელიც შედის სერიის ჩათვლაში;
- უსაფრთხოების საკითხების და სამედიცინო მოთხოვნების უზრუნველყოფა სსსფ-ს მოთხოვნების შესაბამისად;
- სერიის სატიტულო სახელწოდების შესაბამისობა მის გეოგრაფიულ მიმართულებასთან, მის ტექნიკურ და სპორტულ კრიტერიუმებთან, აგრეთვე სსსფ-ს მოთხოვნებთან;
- ამ შეჯიბრის მასმედიაში გაშუქების დროს სსსფ-ს უფლებათა დაცვა.

სსსფ-მ დამატებით სსფ-ს თანხმობით თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება დაუშვას რამოდენიმე ეტაპიანი შეჯიბრის დახურული სერია საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ჩემპიონატები, ტროფეები, პირველობები, სერიები, თასის გათამაშებები, ამხანაგური შეხვედრები ან საერთაშორისო შეჯიბრები სახელწოდებით "საქართველო" შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სსსფ-ს მიერ ან სხვა ორგანიზაციის მიერ სსსფ-ს წერილობითი თანხმობის შემთხვევაში და ჰქონდეს მხოლოდ ისეთი სატიტულო სახელწოდება, რომელშიც ფიგურირებს სიტყვა "საქართველო".

სსსფ იძლევა ნებართვას სხვა პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ჩატარებაზე იმ შემთხვევაში, თუ ის თვლის, რომ ასეთი შეჯიბრი პასუხობს სპორტის განვითარების ინტერესებს და უსა-

TOP

ფრთხოება არის სსფ-ს და სსსფ-ს სტანდარტების შესაბამისად.

სსსფ-ს შეუძლია გამოითხოვოს საკუთარი ნებართვა, თუ ეს პირობები არ სრულდება.

შეჯიბრებათა პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის კალენდარი უნდა მოიცავდეს სეზონის განმავლობაში არანაკლებ სამ ეტაპს;

2.15. კლუბი, ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი — ეს არის სსსფ-ს მიერ აკრედიტებული, რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის წესდებაც არ ეწინააღმდეგება სსსფ-ს მიზნებს და ამოცანებს. ფლობს ფედერაციის მიერ მინიჭებულ ოფიციალურ სტატუსს, მკაცრად ასრულებს ფედერაციის მიერ დადგენილ წესებს და ნორმებს ფედერაციის მიერ მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

2.16. ორგანიზატორი – ეს არის იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია სსსფ-ს მიერ გაცემული ორგანიზატორის ნებართვა 1 (ერთი) ან მეტი ღონისძიების ჩასატარებლად და ორგანიზატორის ლიცენზია.

2.17. ორგანიზატორის ნებართვა — ეს არის სსსფ-ს მიერ გაცემული დოკუმენტი რომელიც იძლევა საქართველოს ტერიტორიაზე საავტომობილო სარბოლო ღონისძიებების მოწყობის უფლებას. ორგანიზატორის ნებართვა საჭიროა ყველა საავტომობილო ღონისძიებისთვის.

2.18. საორგანიზაციო კომიტეტი – ეს არის სულ მცირე სამი ადამიანისგან შემდგარი ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომლებსაც შეჯიბრის ორგანიზატორისგან მინიჭებული აქვთ

ამ შეჯიბრის ორგანიზების უფლება. ამ ჯგუფს ასევე აქვს უფლება გამოიყენოს შეჯიბრის ჩატარების და რეგლამენტირების დოკუმენტები. აღჭურვილია უფლებით და პასუხისმგებელია შეჯიბრის ორგანიზების დროს უზრუნველყოს ყველა გადასაწყვეტი საკითხი.

საორგანიზაციო კომეტეტი მტკიცდება ორგანიზატორის მიერ.

2.19. შეჯიბრის რეგლამენტი (დებულება) – ეს არის შეჯიბრის ორგანიზატორის მიერ გამოქვეყნებული აუცილებელი ოფიცალური დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს შეჯიბრის ჩატარების დეტალებს.

2.20. პროგრამა - შეჯიბრის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მისი ჩატარების დეტალების გასაცნობად საჭირო ინფორმაციას.

2.21. მარშრუტი – ეს არის გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს ავტომობილი შეჯიბრის მსვლელობისას.

2.22. ტრასა – მუდმივი ან დროებითი მარშრუტი, რომელიც გამოიყენება შეჯიბრის ჩატარებისათვის ან რეკორდის დამყარების მცდელობის დროს და რომელიც დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ.

2.23. ტრეკი (ავტოდრომი) – მუდმივი ტრასა, რომელსაც გააჩნია პროფილირებული მომრგვალებები, მოწყობილი უმაღლესი სიჩქარეების გასავითარებლად.

2.24. მილი და კილომეტრი – მეტრული საზომის ინგლისურზე გადაყვანისას ან პირიქით, უნდა მივიღოთ **1** მილი **1,609344** კილომეტრის ტოლად, ხოლო **1** კილომეტრი **0,62137** მილის ტოლად.

2.25. რეკორდი – უმაღლესი შედეგი, მიღწეული წესებით გათვალისწინებული სპეციალური პირობების დაცვისას.

2.26. ადგილობრივი რეკორდი - სსსფ-ს მიერ აღიარებული რეკორდი დამყარებული სსსფ-ს მიერ შერჩეულ მუდმივ ან დროებით ტრასაზე, მონაწილის ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

2.27. საქართველოს რეკორდი - დამყარებული ან გაუმჯობესებული სსსფ-ს მიერ შემუშავებული წესების თანახმად ან საქართველოს ან სხვა ესფ-ს ტერიტორიაზე ამ ბოლოს თანხმობით.

საქართველოს რეკორდი იწოდება რეკორდად კლასში, თუ ის წარმოადგენს უმაღლეს მიღწევას ამ კლასში.

რეკორდი იწოდება აბსოლუტურად, თუ ის წარმოადგენს უმაღლეს მიღწევას კლასის გათვალისწინების გარეშე.

2.28. საერთაშორისო რეკორდი - უმაღლესი მიღწევა განსაზღვრულ კლასში ან ავტომობილების განსაზღვრულ ჯგუფში.

საერთაშორისო რეკორდები დაყოფილია რეკორდებად - ავტომობილთათვის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებისათვის და სატრანსპორტო საშუალებებისათვის მზიდ ფენაზე.

2.29. მსოფლიო რეკორდი - სსფ-ს მიერ რეგისტრირებული

რეკორდი. მსოფლიო რეკორდის დამყარების უფლებას იძლევა სსფ.

2.30. რეკორდსმენი (რეკორდის მფლობელი): - პირი, რომელიც იძლევა განაცხადს რეკორდის დამყარების მცდელობაზე, იღებს ნებართვას და ნებართვის მიღების შემდეგ ამყარებს მას.

თუ რეკორდი დამყარებულ იქნა სპორტული ღონისძიების მსვლელობისას, მისი მფლობელი ხდება მონაწილე, ვისი სახელითაც იყო განცხადებული ავტომობილი, რომლითაც დამყარდა რეკორდი.

2.31. სტარტი – მომენტი როდესაც იძლევა სვლის ბრძანება.

2.32. საკონტროლო ხაზი -ხაზი, რომლის გავლისას ქრონომეტრირდება ავტომობილი ან ფიქსირდება რაიმე ზონის დასაწყისი და დასასრული.

2.33. სტარტის ხაზი - საწყისი საკონტროლო ხაზი, როგორც ქრონომეტრაჟით, ასევე მის გარეშე.

2.34. ფინიშის ხაზი და დახურული პარკი:

2.34.1. ფინიშის ხაზი: საბოლოო საკონტროლო ხაზი, როგორც ქრონომეტრაჟით, ასევე მის აგრეშე.

2.34.2. დახურული პარკი: შეჯიბრის რეგლამენტით გათვალისწინებული ადგილი, სადაც მონაწილე ვალდებულია მიიყვანოს საკუთარი ავტომობილი რომლითაც მონაწილეობას იღებს კონკრეტულ რბოლაში (საკუთარი ავტომობილები) ამ რეგლამენტის თანახმად.

დახურულ პარკში დაიშვებიან მხოლოდ შეჯიბრების ოფი-

ციალური პირები, რომელთაც ევალებათ საკონტროლო მეთვალყურეობა ან პირები, რომელთაც აქვთ სპეციალური ნებართვა.

დახურულ პარკში იკრძალება:

- ნებისმიერი სამუშაოების, შემოწმებების, მომზადებების ან მუშა მდგომარეობაში მოყვანის სამუშაოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ნებადართულია შესაბამისი უფლებამოსილებების მქონე შეჯიბრების ოფიციალური პირების მიერ;
- მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება;
- საწვავით ავტომობილების გამართვა;
- სხვა მონაწილეების ავტომობილების შეხება;
- ძრავის დაქოქვის მცდელობა ავტომობილის მიწოლით;
- ბუქსირების გამოყენება ნებისმიერი მიზნებისათვის.

დახურული პარკი აუცილებელია ნებისმიერი შეჯიბრისათვის, რომლებზეც გათვალისწინებულია ტექნიკური ინსპექტირებები.

დახურული პარკის (ების) განლაგების ადგილები მითითებული უნდა იყოს შეჯიბრის რეგლამენტში.

წრიული რბოლის დროს ფინიშის ხაზსა და დახურულ პარკს შორის ზონა უნდა მდებარეობდეს “დახურული პარკის რეჟიმში”.

დახურულ პარკს უნდა გააჩნდეს საკმარისი ზომა და იყოს კარგად შემოფარგლული, რომ გამოირიცხოს მასში უცხო პირთა შეღწევა მასში ავტომობილების ყოფნის პერიოდში.

კონტროლი დახურულ პარკზე ხორციელდება ოფიციალური პირების მიერ, რომლებსაც ნიშნავს ორგანიზატორი. ეს ოფიციალური პირები პასუხისმგებელნი არიან დახურული პარკის მუშაობაზე და მათ გარდა არავის არა აქვს უფლება გასცეს განკარგულებები და მითითებები შეჯიბრის მონაწილეების მისამართით.

რალის მსაჯის კონტროლის ზონებში ასევე მყარდება დახურული პარკის რეჟიმი. მათში აკრძალულია ნებისმიერი სარემონტო სამუშაოები და უცხოთა დახმარება.

2.35. ჰანდიკაპი - შეჯიბრის რეგლამენტში მოცემული ხერხი, რომელიც მიზნად ისახავს მონაწილეთა შანსები გათანაბრებას.

2.36. მონაწილე – სსსფ-ს მიერ გაცემული "მონაწილის ლიცენზიის" მფლობელი, რომელიც შეიძლება იყოს შეჯიბრში მონაწილე ნებისმიერ იურიდიული ან ფიზიკური პირი.

თუ მონაწილის ლიცენზია გაცემულია იურიდიულ პირზე, მონაწილის წარმომადგენელმა ადმინისტრაციულ შემოწმებებზე უნდა წარადგინოს მონაწილის წერილობითი მინდობილობა.

2.37. მრბოლელი - შეჯიბრის დროს სატრანსპორტო საშუალების ხელმძღვანელი სპორტსმენი, რომელსაც გააჩნია სსსფ-ს, სსფ-ს ან რომელიმე ესფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია ეროვნული ან საერთაშორისო შეჯიბრისთვის.

რალი რეიდებში ყოველ ავტომობილში მონაწილეობს ორი მრბოლელი თანაბარი უფლებებით, ყოველი მათგანი უნდა ფლობდეს ზემოთაღნიშნულ ლიცენზიას.

2.38. ლიცენზია - სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც გაიცემა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე (მრბოლელზე, მონაწილეზე, მსაჯზე, მწარმოებელზე, გუნდზე, შეჯიბრების ოფიციალურ პირზე, ორგანიზატორზე, ტრასაზე და ა.შ.) და რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ან იღებს მონაწილეობას რაიმე სტატუსით წინამდებარე კოდექსით რეგლამენტირებულ შეჯიბრში ან რეკორდის დამყარების მცდელობაში.

TOP

ლიცენზიის მფლობელმა უნდა იცოდეს და დაიცვას წინამდებარე სპორტული კოდექსი და მისი მიწერილობები. ნებისმიერ შემთხვევაში დაცულ უნდა იქნას პრინციპი, რომ ლიცენზიის ფლობის უფლების მოსაპოვებლად პრეტენდენტმა უნდა იცოდეს წინამდებარე კოდექსის ტერმინოლოგია და შეჯიბრებათა ჩატერების სპორტული და ტექნიკური წესები.

იურიდიული ან ფიზიკური პირი არ შეიძლება იღებდეს მონაწილეობას შეჯიბრში, დაამყაროს ან გააუმჯობესოს რეკორდი, თუ ის არ არის სსფ-ს ან სსსფ-ს შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი, ან სხვა ესფ-ს მიერ გაცემული ლიცენზიის მფლობელი, რომელიც გაცემული სსსფ-ს თანხმობით.

ყველა ლიცენზია, საერთაშორისოს ჩათვლით სსსფ-ს ან სსფ-ს წესების თანახმად გაიცემა სსსფ-ს, სსსფ-ს უფლებამოსილი პირის ან სხვა ესფ-ს მიერ, მოქმედების პერიოდით მიმდინარე წლის **31** დეკემბრამდე.

სსფ-ს ან სსსფ-ს ლიცენზიის მატარებლებს არ აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა შეჯიბრებში, რომელიც არ არის შეთანხმებული სსფ-სთან ან სსსფ-სსთან ან არ არის შეტანილი სპორტულ კალენდარში.

ლიცენზია უნდა განახლდეს ყოველწლიურად.

მრბოლელის ლიცენზია შეიძლება გაცემულ იქნას ფსევდონიმის ქვეშ, ოღონდ მხოლოდ ერთი ფსევდონიმის ქვეშ. ერთი პირის მიერ ორი ფსევდონიმის გამოყენება დაუშვებელია.

ლიცენზიის გაცემის ან განახლების საფასური დგინდება სსსფ-ს ცალკეული დადგენილებებით.

სსსფ-ს შეუძლია გასცეს ლიცენზია უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სსფ-ს თანხმობის შემთხვევაში იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არ არის წარმოდგენილი სსფ-ში. ასეთი ლიცენზიების სია გადაიცემა სსფ-ს სამდივნოში. სსსფ, რომელიც სსფ-ს წევრია, ვალდებუ-

ლია შექმნას შეინახოს ამგვარად გაცემული ლიცენზიების რეესტრი.

სსსფ გასცემს ლიცენზიებს სსფ-ს სახელით საერთაშორის შეჯიბრებში მონაწილეობისთვის. ასეთ ლიცენზიებს წარმოადგენს ყველა კატეგორიის ლიცენზია დადგენილი სსფ-ს მიერ გარდა სუპერ ლიცენზიისა, რომლის გამცემ ორგანოდ რჩება სსფ. საერთაშორისო ლიცენზია გაიცემა ისეთ მრბოლელზე, მათი განაცხადის საფუძველზე და აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

დოკუმენტი, "მრბოლელის ლიცენზია" როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კატეგორიის წარმოადგენს სსსფ-ს საკუთრებას.

სსსფ-ს უფლება აქვს უარი უთხრას მრბოლელს საერთაშორისო ან ეროვნული ლიცენზიის გაცემაზე, მაგრამ ვალდებულია დაასაბუთოს ასეთი უარის მიზეზები.

დროებითი დისკვალიფიკაცია ან ლიცენზიის ამოღება, რომელიც გამოიყენება როგორც დასჯის მექანიზმი, იწვევს დროებით ან საბოლოო უარს მისი მფლობელის დაშვებაზე სსფ-ს და სსსფ-ს ჩემპიონატებზე, ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებზე და აგრეთვე სსსფ-ს სპორტულ კალენდარში შეყვანილ შეჯიბრებზე.

საერთაშორისო სუპერლიცენზიების გაცემის წესი განსაზღვრულია სსფ-ს სსკ-თი.

2.39. ლიცენზიის მფლობელთა რეესტრი - სსსფ-ს მიერ წარმოებული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სია, რომელთაც სსსფ-ში მიიღეს რაიმე ლიცენზია.

2.40. ლიცენზიის ნომრები - ლიცენზიათა მფლობელებისთვის სსსფ-ს მიერ ყოველწლიურად მინიჭებული ნომრები, რომლებიც ლიცენზიათა მფლობელების რეესტრში შეჰყავთ.

TOP

2.41. გამონაკლისი - ნებართვა გარიცხული ლიცენზიის მფლობელი პირისათვის, მონაწილეობა მიიღოს მოცემულ შეჯიბრში ან ერთი სპორტული ღონისძიების რამოდენიმე შეჯიბრში.

2.42. დროებითი დისკვალიფიკაცია - დისკვალიფიცირებული პირის მიერ ნებისმიერ შეჯიბრში, რომელზეც ვრცელდება სსსფ-ს სპორტული ხელისუფლება, მონაწილეობის უფლების დროებითი დაკარგვა. თუ გადაწყვეტილება მიღებულია სსსფ-ს მიერ, დროებითი დისკვალიფიკაცია ვრცელდება ყველა ქვეყანაში სადაც ვრცელდება სსფ-ს სსკ-ს მოქმედება.

2.43. დისკვალიფიკაცია - ლიცენზირებული პირის მიერ ნებისმიერ შეჯიბრში, მონაწილეობის უფლების სრული და საბოლოო დაკარგვა.

თავი III. შეჯიბრების საერთო პირობები.

3.1. კოდექსის გამოყენება - ყველა შეჯიბრი და რეკორდის დამყარების ყველა მცდელობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე კოდექსის მოთხოვნებს და მის დანართებს, ხოლო საერთაშორისო შეჯიბრების დროს სსფ-ს სსკ-ს მოთხოვნებს.

3.2. შეჯიბრის საზღვარგარეთ ორგანიზება - შეჯიბრის საზღვარგარეთ ორგანიზება რეგლამენტირებულია სსსფ-ს სპეციალური გადაწყვეტილებებით. შეჯიბრის ორგანიზება ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც არ არის წარდგენილი სსფ-ში, მოითხოვს სსფ-ს სპეციალური ნებართვის მიღებას.

3.3. შეჯიბრის ორგანიზება - საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო, ეროვნული და ნებისმიერი სახის საავტომობილო შეჯიბრები შეიძლება ორგანიზებულ იქნას:

3.3.1. სსსფ-ს მიერ – ორგანიზაცია რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო ორგანოების და სსფ-ს მიერ;

3.3.2. იურიდიული პირის მიერ - რომლებსაც გააჩნიათ სსსფ-ს ლიცენზია და ნებართვა შეჯიბრის ორგანიზებაზე.

3.4. ოფიციალური დოკუმენტები - ნებისმიერ შეჯიბრის ჩასატარებლად საჭიროა მოცემული შეჯიბრის ოფიციალური დოკუმენტების გამოცემა. სულ მცირე გამოქვეყნებულ უნდა იქნას შეჯიბრის რეგლამენტი და პროგრამა. მათი შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე კოდექსს.

3.5. აუცილებელი წარწერები შეჯიბრებს მიკუთვნებულ დოკუმენტებზე - ყველა რეგლამენტს, პროგრამებს შეჯიბრის და განაცხადის ბლანკებს, რომლებიც ეხება შეჯიბრებს, გამოსაჩენ ადგილზე უნდა ჰქონდეს წარწერა "ორგანიზებულია სსსფ-ს სპორტული კოდექსის თანახმად", ხოლო საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზებისას "ორგანიზებულია სსფ-ს სსკ-ს შესაბამისად".

3.6. წესების ცოდნა და დაცვა - შეჯიბრის ორგანიზატორი და მათში მონაწილეობის მიმღები ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია:

3.6.1. იცოდეს წინამდებარე კოდექსი და რეგლამენტირების დოკუმენტები, საჭირო მოცემული შეჯიბრის ჩასატარებლად, ხოლო საერთაშორისო შეჯიბრის ჩატარებისას სსკ და სსფ-ს საჭირო სპორტული რეგლამენტაცია.

3.6.2. იკისროს ვალდებულება უპირობოთ დაემორჩილოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს, ასევე სსსფ-ს გადაწყვეტილებებს და შედეგებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ.

შეჯიბრის ორგანიზატორს და მათში მონაწილეობის მიმღებ ნებისმიერ პირს ამ მოთხოვნების დაღვევის შემთხვევაში ჩამოერთმევა სსსფ-ს მიერ გაცემული ლიცენზია, ხოლო ორგანიზატორის შემთხვევაში მას ჩამოერთმევა ლიცენზიაც და ორგანიზატორის ნებართვაც.

სსსფ ვალდებულია დაასაბუთოს ლიცენზიის ან ნებართვის ამოღების გადაწყვეტილების მიზეზები.

წარდგენილი ავტომობილის შეუსაბამობა ტექნიკურ მოთხოვნებთან არ იწვევს ლიცენზიის ჩამორთმევას.

3.7. აკრძალული შეჯიბრები - სსსფ აკრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი შეჯიბრის ჩატარებას, თუ მისი ორგანიზება და ჩატარება წინააღმდეგობაში მოდის წინამდებარე კოდექსთან ან არ არის სანქცირებული სსსფ-ს მიერ. თუ ასეთი შეჯიბრი წარმოადგენს უფრო მსხვილი შეჯიბრის შემადგენელ ნაწილს, რომლის ორგანიზებაზე გაცემულ იქნა ნებართვა, ეს ნებართვა ანულირდება. სსსფ-ს ლიცენზიის მფლობელის მონაწილეობა ასეთ შეჯიბრში იწვევს მისი ლიცენზიის ჩამორთმევას.

3.8. შეჯიბრის ჩატარების თარიღების გადატანა ან გაუქმება.

ნებისმიერი შეჯიბრი, რომელიც უფრო მსხვილი შეჯიბრის ნაწილია შეიძლება გადატანილ იქნას ან გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებულია მისი რეგლამენტის მიერ ან თუ გადაწყვეტილება გადატანაზე ან გაუქმებაზე მიიღება შეჯიბრის სპორტული კომისრების მიერ ფორს-მაჟორული გარემოებებიდან ან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოსაზრებებიდან გამომდინარე.

შეჯიბრის გაუქმების ან მისი ჩატარების დროის გადატანისას **24** საათზე მეტი პერიოდის შემთხვევაში, საგანაცხადო შენატანები დაბრუნებულ უნდა იქნას.

შენიშვნა: აქ და შემდგომ ფორს-მაჟორის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, გამოწვეული დაუძლეველი ძალით, რომელსაც წინასწარ ვერ განსაზღვრავ ან ვერ აირიდებ.

ფორს-მაჟორის ფაქტი (მონაწილისათვის, მრბოლელისათვის, ორგანიზატორისათვის ან შეჯიბრის ოფიციალური პირისათვის) დგინდება ან განისაზღვრება სპორტული კომისრების მიერ.

თავი IV. სპორტული შეჯიბრები. ორგანიზების დეტალები.

4.1. ორგანიზატორი – იურიდიული პირი, სსსფ-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია იყოს პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ორგანიზატორი. რომელიც იღებს ვალდებულებას ღონისძიების ჩატარებაზე, მონაწილეების და მაყურებლების უსაფრთხოებაზე. ნებართვის მაქსიმალური ვადა შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულების საფუძველზე, არა უმეტეს **5** (ხუთი) წლისა. ორგანიზატორის ნებართვა გაიცემა კონკრეტული პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან ჩემპიონატისთვის.

ორგანიზაორი ატარებს სპორტულ შეჯიბრს ან სსსფ-ს რეგულაციებით განსაზღვრულ ღონისძიებას, ახორციელებს მისი ჩატარების და მომზადების საორგანიზაციო, ფინანსურ და სხვა უზრუნველყოფას.

4.2. ორგანიზატორისკატეგორიები - სსსფ-ს ღონისძიებების ორგანიზატორის კატეგორიები დაყოფილია შემდეგნაირად:

4.2.1. კატეგორია "E" – საავტომობილო სამოყვარულო ერთი კონკრეტული შეჯიბრის და ღონისძიების ორგანიზების უფლება სადაც მონაწილის მაქსილამური სისწრაფე არ აღემატება **70** კმ/სთ (გარდა "დრიფტი"-ს სახეობისა).

4.2.2. კატეგორია "D" – ერთი კონკრეტული სახეობის საავტომობილო სამოყვარულო შეჯიბრების და ღონისძიე-

TOP

ბების ორგანიზების უფლება სადაც მონაწილის მაქსიმალური სისწრაფე არ აღემატება **110** კმ/სთ (გარდა "დრიფტი"-ს სახეობისა).

4.2.3. კატეგორია "C" – ერთი რომელიმე ტიპის საავტომობილო სამოყვარულო შეჯიბრების და ღონისძიებების ორგანიზების უფლება, განაცხადში კონკრეტული სახეობის პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის **მითითებით**.

4.2.4. კატეგორია "B" – ერთი რომელიმე ტიპის საავტომობილო სამოყვარულო და ჩაკეტილ სივრცეში საავტომობილო პროფესიონალური რბოლების ორგანიზების უფლება, განაცხადში კონკრეტული სახეობის პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის**,** გარდა ერთსავარძლიანი ტიპის ავტომობილების (კარტინგი, ფორმულა, ლეგენდა და ა.შ.) რბოლისა, პროფესიონალური რბოლების სერიისა და ჩემპიონატისა**;**

4.2.5. კატეგორია "A" – ნებისმიერი ტიპის საავტომობილო რბოლების და ღონისძიებების ორგანიზების უფლება, განაცხადში კონკრეტული სახეობის პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის მითითებით, მათ შორის საერთაშორისო;

4.3. ორგანიზატორის კატეგორიის მსურველთა დოკუმენტაცია და კრიტერიუმები

4.3.1.*<u>დოკუმენტაცია</u>* - ორგანიზაციის რეგისტრაციის მოწმობა, განაცხადის ფორმა და წარსულში ღონისძიების (ების) ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტი (ები) (“A” კატეგორიის გარდა).

4.3.2. *<u>კრიტერიუმები</u>* -

4.1.1.1. კატეგორია “E” –ნებისმიერი იურიდიული პირი რომელიც წარმოადგენს:

- მის მიერ გაცხადებული ღონისძიების რეგლამენტს და დებულებას;
- ღონისძიების უსაფრთხოების გეგმას;

4.1.1.2. კატეგორია “D” - ნებისმიერი იურიდიული პირი რომელიც წარმოადგენს:

- მის მიერ გაცხადებული ღონისძიების (ების) რეგლამენტს და დებულებას;
- ღონისძიების (ების) უსაფრთხოების გეგმას;
- მინიმუმ **1** (ერთი) საავტომობილო ღონისძიების ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

4.1.1.3. კატეგორია “C” – ნებისმიერი იურიდიული პირი რომელიც წარმოადგენს:

- მის მიერ გაცხადებული ღონისძიების (ების) რეგლამენტს და დებულებას;
- ღონისძიების (ების) უსაფრთხოების გეგმას;
- მინიმუმ **3** (სამი) საავტომობილო ღონისძიების ორგანიზების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მათ შორის უნდა იყოს მინიმუმ **1** (ერთი) საავტომობილო სამოყვარულო რბოლა;

4.1.1.4. კატეგორია "B" – ნებისმიერი იურიდიული პირი რომელიც წარმოადგენს:

• მის მიერ გაცხადებული ღონისძიების (ების) რეგლამენტს და დებულებას;

• ღონისძიების (ების) უსაფრთხოების გეგმას;

• მინიმუმ **7** (შვიდი) საავტომობილო ღონისძიების ორგანიზების დამადასტურებელ დოკუმენტაციას, მათ შორის მინიმუმ **3** (სამი) საავტომობილო სამოყვარულო რბოლა;

4.1.1.5. კატეგორია "A" – ნებისმიერი იურიდიული პირი რომელიც წარმოადგენს:

• მის მიერ გაცხადებული ღონისძიების (ების) რეგლამენტს და დებულებას;

• ღონისძიების (ების) უსაფრთხოების გეგმას;

• მინიმუმ **2** (ორი) სარბოლო სეზონის განმავლობაში ორგანიზებული მინიმუმ 4 (ოთხი) პროფესიონალური საავტომობილო რბოლის დამადასტურებელ დოკუმენტაციას;

სსსფ იტოვებს უფლებას პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ორგანიზების მსურველებისთვის შეიმუშაოს დამატებითი კრიტერიუმები, რომელიც გამოიცემა დანართის სახით.

ერთი და იმავე შეჯიბრის, შეჯიბრის ჯგუფის, სერიის ან/და ჩემპიონატის ორგანიზების მსურველობის რამოდენიმე კანდიდატს შორის, უპირატესობა ენიჭება ამ სფეროში გამოცდილების მქონეს;

ფიზიკურ პირებს სსსფ-ს საავტომობილო სპორტში შეჯიბრებათა კალენდარში გათვალისწინებული შეჯიბრის ჩატარებისთვის სსსფ-ს ორგანიზატორის ნებართვა და ლიცენზიები გადაეცემათ გამონაკლისის წესით მხოლოდ სსსფ-ს

TOP

სპორტული საბჭოს ან სსსფ-ს გამგეობის გადაწყვეტილების საფუძველზე.

4.3. ორგანიზატორის უფლებები და მოვალეობები – ორგანიზატორი:

4.1.1. . ვალდებულია

4.1.1.1. ჰქონდეს ორგანიზატორის მოქმედი ნებართვა და მიმდინარე წლის ორგანიზატორის ლიცენზია;

4.1.1.2. დააკმაყოფილოს კოდექსით და მისი დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.1.1.3. სსსფ-ს სპორტული კოდექსის და დადგენილი წესების მიხედვით ჩაატაროს გაცხადებული ღონისძიებების სავალდებულო მინიმუმი, **70** (სამოცდაათი) %.

4.1.1.4. აუნაზღაუროს სსსფ-ს დამკვირვებელის და კომისრის სამივლინებო სარგო (ხარჯი);

4.1.1.5. პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ორგანიზების დროს დაკავებული მსაჯთა კორპუსი, ტექნიკური და უსაფრთხოების კომისრები იყვნენ პირები, რომელთაც გააჩნიათ სსსფ-ს, სსფ-ს ან რომელიმე ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები.

4.1.1.6. ერთი კონკრეტული ღონისძიების დასრულებიდან არაუგვიანეს **3** დღისა წერილობით წარუდგინოს სსსფ-ს

ღონისძიების ოფიციალური ანგარიში (მონაწილეები, შედეგები და ქულები);

4.1.1.7. მის მიერ ჩატარებული (ნებადართული და ლიცენზირებული) ღონისძიების საინფორმაციო, სარეკლამო მასალაზე (მათ შორის სიგელებსა და დიპლომებზე) დაიტანოს სსსფ-ს ლოგოტიპი და კოდექსის შესაბამისი სავალდებულო ინფორმაცია. ორგანიზატორს არ აქვს უფლება გამოიყენოს რაიმე სახით სსსფ-ს საერთაშორისო პარტნიორების ლოგოტიპები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამის თანხმობა გაცემულია სსსფ-ს მიერ წერილობით.

4.1.1.8. მრავალჯერადი ღონისძიების შემთხვევაში, პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის ან/და ჩემპიონატის ჩატარების შესახებ განაცხადი გააკეთოს სსსფ-ში მიმდინარე წლის **1** დეკემბრამდე, ხოლო სსსფ-ს სპორტული ღონისძიებების კალენდარული წლის **1** თებერვლამდე გადაიხადოს მის მიერ გაცხადებული პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის ან/და ჩემპიონატის ჩატარების ნებართვის საფასური.

4.1.1.9. ერთჯერადი ღონისძიების შემთხვევაში სსსფ-ში გააკეთოს განაცხადი ღონისძიებამდე მინიმუმ **30** (ოცდაათი) დღით ადრე და ნებართვის მიღების შემთხვევაში, მისი მიღებიდან **7** (შვიდი) კალენდარულ დღეში გადაიხადოს აღნიშნული ღონისძიების ჩატარების ნებართვის საფასური.

4.1.1.10. უზრუნველყოს შეჯიბრის მეთვალყურეობა სსსფ-სგან მივლენილი მინიმუმ **1** (ერთი) დამკვირვებლის და **1** (ერთი) სპორტული კომისრის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ შეასრულებს სპორტული კომისრების კოლეგიის თავ-

TOP

მჯდომარის ფუნქციას და წარუდგენს სსსფ-ს შეჯიბრის ორგანიზების და მსვლელობის სრულ ანგარიშს.

4.1.1.11. ორგანიზატორი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ კოდექსში ან სხვა დოკუმენტში მოცემულ უფლებებთან და უფლებამოსილებებთან ერთად სსსფ იტოვებს უფლებას: თასის, ტროფეის, პირველობს, სერიების ან ნებისმიერი შეჯიბრების ინსპექტირებაზე, რომელიც შეტანილია სსსფ-ს სპორტულ კალენდარში. ინსპექტირების მიზანია გაკონტროლდეს რამდენად ზუსტად სრულდება წინამდებარე კოდექსი და სსსფ-ს სხვა ნორმატიული დოკუმენტაცია.

ორგანიზატორი ვალდებულია ხელი შეუწყოს ასეთი ინსპექტირების ჩატარებას სსსფ-ს წარმომადგენლებს მთელს ტრასაზე და დოკუმენტაციასთან თავისუფლად დაშვების გზით.

4.1.1.12. ორგანიზატორი, რომელმაც ვერ უზრუნველყო განვლილი ღონისძიების ან/და სარბოლო სეზონის განმავლობაში ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია წარმოადგინოს ახსნა-განმარტებითი დოკუმენტაცია სსსფ-ში. ორგანიზატორს, რომელმაც წარმოადგინა ახსნა-განმარტებითი დოკუმენტაცია, რომლიდანაც თვალნათელია ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების საპატიო მიზეზი, ეძლევა შესაძლებლობა გააკეთოს განაცხადი მომდევნო ღონისძიების ან/და სარბოლო სეზონისთვის;

თუ მომდევნო სეზონ(ებ)ის განმავლობაში კვლავ განმეორდა ვალდებულებების არ შესრულება, სსსფ უფლებამოსილია ჩამოართვას ამ პირს ორგანიზატორის უფლება და ლიცენზია **5** წლის ვადით.

4.1.2. უფლებამოსილია

4.1.2.1. გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რის შესახებაც ღონისძიების ჩატარებამდე მინიმუმ **7** (შვიდი) დღით ადრე უნდა აცნობოს სსსფ-ს.

4.1.2.2. უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ შექმნას პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის განრიგი, ტექნიკური რეგლამენტი და შეჯიბრის რეგლამენტი სსსფ-ს სპორტული კოდექსისა და ქვეყნის (ქვეყანა სადაც ტარდება ღონისძიება) კანონმდებლობის გათვალისწინებით.

4.1.2.3. დანიშნოს პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ყველა პასუხისმგებელი პირი;

4.4. ორგანიზატორის ნებართვა — პირველობის, თასის გათამაშების, ტროფეის, სერიის, ამხანაგური შეხვედრის, ერთი ღონისძიების, ღონისძიებათა ჯგუფის ან/და ჩემპიონატის ორგანიზების ნებართვა წარმოადგენს სსსფ-ს და ორგანიზატორს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. ეს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე იძლევა საავტომობილო სარბოლო ღონისძიებების მოწყობის ნებართვას.

არც ერთი საავტომობილო ღონისძიება არ შეიძლება ჩატარდეს სსსფ-ს მიერ გაცემული ორგანიზატორის ნებართვის გარეშე.

4.5. წესების და კანონების დაცვა — შეჯიბრების ჩატარების ადგილის მიუხედავად საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის თანხმობა მის ჩატარებაზე. ასეთი თანხმობის არქონა ორგანიზატორის ნებართვის ანულირების ტოლფასია.

შენიშვნა 1: იმ ადგილებში, სადაც შეჯიბრის გზა გადის საერთო სარგებლობის გზაზე, მრბოლელები, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრში, უნდა იცავდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საგზაო წესებს. ამ წესების დარღვევისათვის სპორტულ კომისრებს (შეჯიბრის ხელმძღვანელს) უფლება აქვთ დააწესონ პენალიზაცია დამრღვევთან მიმართებაში.

შენიშვნა 2: ავტოდრომებზე ან ნებისმიერი უცხო მოძრაობისათვის დახურულ ტრასებზე ჩატარებული შეჯიბრებები ექვემდებარება წინამდებარე კოდექსის და სსსფ-ს დამატებით რეგლამენტაციას.

4.6. წესების და კანონების დაცვა - შეჯიბრების ჩატარების ადგილის მიუხედავად საორგანიზაციო კომიტეტმა უნდა მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის თანხმობა მის ჩატარებაზე. ასეთი თანხმობის არქონა ნებართვის ანულირების ტოლფასია.

შენიშვნა 1: იმ ადგილებშისადაც შეჯიბრის გზა გადის საერთო სარგებლობის გზაზე, მრბოლელები, რომლებიც მონაწილეობენ შეჯიბრში, უნდა იცავდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საგზაო წესებს. ამ წესების დარღვევისათვის სპორტულ კომისრებს (შეჯიბრის ხელმძღვანელს) უფლება აქვთ დააწესონ პენალიზაცია დამრღვევთან მიმართებაში.

შენიშვნა 2: ავტოდრომებზე ან ნებისმიერი უცხო მოძრაობისათვის დახურულ ტრასებზე ჩატარებული შეჯიბრები

ექვემდებარება წინამდებარე კოდექსის და სსსფ-ს დამატებით რეგლამენტაციას.

4.7. შეჯიბრის რეგლამენტების (დებულების) პუბლიკაცია - შეჯიბრის რეგლამენტების პუბლიკაციის ვადები განისაზღვრება **10** სამუშაო დღით.

4.8. შეჯიბრის რეგლამენტში (დებულებაში) შესაყვანი ძირითადი ინფორმაცია:

4.8.1. ორგანიზატორის დასახელება;

4.8.2. ჩასატარებელი შეჯიბრის დასახელება და შემადგენლობა;

4.8.3. განცხადების შემცველი ტექსტი, იმის თაობაზე, რომ შეჯიბრი ტარდება წინამდებარე კოდექსის თანახმად (საერთაშორისო შეჯიბრისთვის სსფ-ს სსკ-სთან);

4.8.4. საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა, მისი ადმინისტრაციის მიერ დამტკიცების შესახებ დოკუმენტი და მისი მისამართი;

4.8.5. შეჯიბრის ჩატარების ადგილი და დრო;

4.8.6. სავარაუდო შეჯიბრის სრული აღწერილობა (სიგრძე და ტრასის განლაგება, დაშვებული ავტომობილების კლასები და ჯგუფები, საწვავი, მოასპარეზეთა რიცხვის შეზღუდვა, თუ ასეთი არსებობს და აშ.);

4.8.7. ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ეხება მო-

TOP

ნაწილეობის განაცხადებს. მისამართი, რომელზეც შეიძლება ისინი გაგზავნილ იქნას, თარიღები და განაცხადების მიღების დასაწყისის და დასასრულის დრო, საგანაცხადო შენატანების სიდიდე, თუ ასეთი გათვალისწინებულია;

4.8.8. ინფორმაცია დაზღვევის პირობების შესახებ;

4.8.9. სტარტების (რბოლების) თარიღები, დრო და შემადგენლობა ჰანდიკაპების მითითებით, თუ ისინი გამოიყენება;

4.8.10. აღნიშნული კოდექსის ზოგიერთი სტატიების მითითება, განსაკუთრებით რომელიც ეხება ლიცენზირებას, სიგნალიზაციას და სახანძრო უსაფრთხოებას;

4.8.11. ფინიშის რეგისტრაციის მეთოდი და შედეგების დათვლის პრინციპი;

4.8.12. ყოველი შეჯიბრისათვის პრიზების ნუსხა ან საპრიზო ფონდის ოდენობა;

4.8.13. წინამდებარე კოდექსის მუხლების აღწერა, რომლებიც ეხება პროტესტების შეტანას და განხილვას;

4.8.14. შეჯიბრის ოფიციალურ პირთა სახელები. როგორც მინიმუმ სპორტული კომისრების და რბოლის ხელმძღვანელის (ნიშნავს სსსფ).

4.9. შეჯიბრის რეგლამენტის (დებულების) შეცვლა – შეჯიბრის რეგლამენტის შეცვლა დაუშვებელია რეგისტრაციის დაწყების შემდეგ, გარდა:

- ოფიციალური პირების შეცვლისა;

- თუ მოითხოვს შეჯიბრის უსაფრთხოება;
- ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო;

4.10. პროგრამაში შესაყვანი ძირითადი ინფორმაცია:

4.10.1. განცხადების შემცველი ტექსტი, იმის თაობაზე, რომ შეჯიბრი ტარდება წინამდებარე კოდექსის თანახმად (საერთაშორისო შეჯიბრისთვის სსფ-ს სსკ-სთან რეგულაციით);

4.10.2. შეჯიბრის ჩატარების ადგილი და დრო;

4.10.3. შეჯიბრის სავარაუდო განრიგი და მოკლე აღწერილობა;

4.10.4. მონაწილეების სახელები (სახელწოდებები) და მრბოლელების სახელები სასტარტო ნომრებით, რომელიც დანიშნულია მათი ავტომობილებისათვის (ფსევდონიმები უნდა დაიწეროს ბრჭყალებში);

4.10.5. ჰანდიკაპი, თუ ის გამოიყენება;

4.10.6. პრიზების ჩამონათვალი ყოველი შეჯიბრისათვის ან საპრიზო ფონდის ოდენობა;

4.10.7. სპორტული კომისრების და რბოლის ხელმძღვანელების სახელები (ნიშნავს სსფ-ს მსაჯთა კოლეგია).

4.11. განაცხადი - განაცხადი წარმოადგენს ხელშეკრულებას მონაწილესა და ორგანიზატორს შორის. ის ხელმოწერილ უნდა იქნას ორივე მხარის მიერ. განაცხადი ავალდებულებს

მონაწილეს მიიღოს შეჯიბრში მონაწილეობა, ხოლო საორგანიზაციო კომიტეტს შეასრულოს მონაწილის მიმართ განაცხადის ყველა პირობა.

4.12. განაცხადების შესრულების აუცილებლობა - საორგანიზაციო კომიტეტსა და მონაწილეს შორის არსებული ნებისმიერი განხეთქილება, რომელიც ეხება განაცხადებს განიხილება სსსფ-ს მიერ. თუ ეს განხილვა არ შედგა შეჯიბრის დაწყებამდე, მაშინ ნებისმიერი განცხადებული და შეჯიბრში მონაწილეობისათვის დაშვებული მონაწილე ან მრბოლელი, რომელმაც უარი თქვა მასში მონაწილეობის მიღებაზე, გარდა ფორს-მაჟორულად მიჩნეული შემთხვევებისა, ექვემდებარება დროებით დისკვალიფიკაციას ლიცენზიის ჩამორთმევით, თუ მის მიერ არ იქნება შეტანილი ფულადი გირაო, რომლის ოდენობას ნასზღვრავს სსსფ. გირაოს შეტანა არ იძლევა ერთი შეჯიბრის მეორეზე შეცვლის უფლებას.

4.13. განაცხადების მიღება - შეჯიბრის ორგანიზებაზე ნებართვის გაცემის მომენტიდან ორგანიზატორს ენიჭება უფლება მიიღოს განაცხადები. განაცხადის ფორმა დგინდება სსსფ-ს მიერ. შეჯიბრის რეგლამენტით შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დამატებითი დრო განცხადებული მრბოლელების სიის დასაზუსტებლად ან შეცვლისათვის.

თუ შეჯიბრის რეგლამენტით განსაზღვრულია საგანაცხადო შენატანი, ის უნდა გადახდილ იქნას განაცხადის შეტანასთან ერთად. წინამდებარე შემთხვევაში განაცხადი ჩაითვლება წინასწარ შეტანილად.

მრბოლელები ვისაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღონ საზღვარგარეთ ორგანიზებულ საერთაშორისო შეჯიბრებში, შეიძლება გააკეთონ ეს მხოლოდ სსსფ-ს ნებართვით. ნებართვას შეიძლება წარმოადგენდეს სსსფ-ს ვიზა განაცხადის

ბლანკზე, რომელიც იძლევა უფლებას კონკრეტულ შეჯიბრში მონაწილეობაზე.

შეიძლება გაიცეს უფრო ფართო ნებართვა (ერთი ან რამოდენიმე ქვეყნისათვის გარკვეული ვადით ან ლიცენზიის მოქმედების პერიოდის მთელს პერიოდზე).

ორგანიზატორის მიერ უცხოელი მონაწილის და/ან მრბოლელის განაცხადის მიღება, რომელსაც არ გააჩნია ესფ-ს ნებართვა, რომელმაც გასცა ეს ლიცენზია (ები) ითვლება დარღვევად. ასეთი ფაქტი ეცნობება სსფ-ს და იწვევს სსფ-ს მიერ ამ ორგანიზატორზე დაკისრებულ ჯარიმას.

4.14. სსსფ-ს ნებართვა საზღვარგარეთ შეჯიბრში მონაწილეობაზე - სსსფ გასცემს ნებართვებს საზღვარგარეთ შეჯიბრში მონაწილეობაზე მხოლოდ იმ პირებისთვის, რომელზეც სსსფ-ს მიერ გაიცა საერთაშორისო ლიცენზია და მხოლოდ იმ შეჯიბრებზე, რომლებიც შეყვანილია სსფ-ს სკ-ში.

4.15. განაცხადების მიღების დასასრული - განაცხადების მიღების თარიღი და დასრულების დრო მითითებულია შეჯიბრის რეგლამენტში.

4.16. განაცხადის ელექტრონული სახით შეტანა - განაცხადი შეიძლება გაიგზავნოს ელექტრონულად. ასეთი განაცხადი აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული ორიგინალის წარდგენით ორგანიზატორის მისამართით და საგანაცხადო შენატანის გადახდით (თუ ეს მოითხოვება). განაცხადის შეტანის დროდ ამ შემთხვევაში ითვლება ელექტრონული სახით გაგზავნის დრო.

4.17. არასწორი მონაცემების შემცველი განაცხადი - განაცხადი, რომელიც შეიცავს არასწორ მონაცემებს, აღი-

არებულია ძალის არმქონედ. მონაწილე, მრბოლელი აღიარებულია დამნაშავედ უღირს ქცევაში, ხოლო ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაუბრუნოს შენატანი თანხა.

4.18. უარი განაცხადის მიღებაზე - შეჯიბრის საორგანიზაციო კომიტეტმა შეიძლება უარი განაცხადოს განაცხადის მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში მან უნდა შეატყობინოს და განუმარტოს უარის მიზეზი.

დაუშვებელია განაცხადის მიღებაზე უარი სსსფ-ს ოფიციალურ მრავალეტაპიან შეჯიბრებათა ეტაპზე იმ მონაწილეთათვის ან მრბოლელთათვის, რომელსაც უკვე აქვს მასში ჩათვლის ქულები.

4.19. პირობითი განაცხადები - შეჯიბრების რეგლამენტი უნდა ითვალისწინებს განაცხადების პირობით მიღებას. მაგალითად, სტარტზე მყოფების რიცხვის შეზღუდვის შემთხვევაში, განაცხადი შეიძლება პირობითად იქნას მიღებული იმ ვარაუდით, რომ უკვე გაცხადებულ მონაწილეებს შორის გაჩნდება ვაკანსია. მისი განაცხადი რომ პირობითად არის მიღებული, განმცხადებელი უნდა იქნას ინფორმირებული წერილით ან ტელეგრამით, რომელიც იგზავნება ერთი დღის განმავლობაში განაცხადების მიღების დასრულების თარიღიდან.

4.20. მონაწილეთა განაცხადების სიის პუბლიკაცია - მონაწილის ან მრბოლელის სახელი შეიძლება გამოქვეყნებულ იქნას ან ჩართულ იქნას შეჯიბრების პროგრამაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან საორგანიზაციო კომიტეტში წარადგინა შესაბამისი წესით შევსებული განაცხადის ფორმა. მონაწილეების ან მრბოლელების სახელები, ვისი განაცხადებიც მიღებულია პირობითად, ქვეყნდება შესაბამისი მინიშნებით.

4.21. მონაწილეთა მიღება - იმ შემთხვევაში, როცა შემოსული განაცხადების რაოდენობა გადააჭარბებს დასაშვები მონაწილეების მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიმე მათგანის მიღების საკითხი წყდება ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული წესით.

4.22. რეზერვის დანიშვნა - ნებისმიერი მონაწილე, რომელიც არ დაიშვა შეჯიბრზე მუხლი **4.19**.-ის საფუძველზე შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის თანხმობით განხილულ იქნას როგორც სარეზერვო.

4.23. მონაწილეთა ოფიციალური სია - საორგანიზაციო კომიტეტმა შეჯიბრის დაწყებამდე უნდა გამოაქვეყნოს მასში მონაწილე ოფიციალურ პირთა სახელები.

თავი V. ტრასები, გზები და ტრეკები.

5.1. საერთაშორისო ტრასები – თუ სსსფ-ს იურისდიქციით ორგანიზებული შეჯიბრის ტრასა მთლიანად ან ნაწილობრივ გადის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, მოცემული შეჯიბრის ორგანიზატორმა (ებმა) სსსფ-ს შუამდგომლობით უნდა მიიღონ ამ ქვეყნების ესფ-ს თანხმობა.

ქვეყნის ესფ, რომლის ტერიტორიაზე გადის ასეთი შეჯიბრი პასუხისმგებელია შეჯიბრის სპორტულ კონტროლზე მისი ერვნული ტერიტორიის ფარგლებში, თუმცა შეჯიბრის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს სსსფ, რომლის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება შეჯიბრის ორგანიზატორი.

5.2. საგზაო ტრასები – სსსფ-ს ოფიციალური შეჯიბრის ტრასისათვის არჩეული გზები, ექვემდებარება სსსფ-ს დამტკიცებას. დამტკიცების მოთხოვნას თანდართული უნდა ჰქონდეს ტრასის დეტარული აღწერა და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს მის სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებას.

დანარჩენი შეჯიბრის ტრასები აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნას სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

5.3. საგზაო დისტანციის აზომვა - ყველა შეჯიბრისთვის, გარდა რეკორდის დამყარების მცდელობებისა, ტრასების დისტანცია, რომელთა სიგრძე **5** კმ ნაკლებია აზომილ უნდა იქნას კვალიფიცირებული სპეციალისტის მიერ გზის ღერძულა ხაზის გასწვრივ. მხოლოდ თუ დისტანციების სიგრძე **5** კმ-ზე მეტია, განისაზღვრება გზის ოფიციალური მაჩვენებლებით ან ავტომობილზე დაყენებული სიგრძის გამზომი ხე-

ლსაწყოს მეშვეობით, ან ოფიციალური რუქის მონაცემებით, რომლის მაშტაბია არანაკლებ 1: 250 000.

5.4. საერთაშორისო ლიცენზიები ტრასებისა და ავტოდრომებისთვის - საერთაშორისო ლიცენზიები ტრასებისა და ავტოდრომებისთვის გაიცემა სსფ-ს რეგლამენტაციის თანახმად.

5.5. ეროვნული ლიცენზია ტრასისთვის - სსსფ გასცემს ეროვნულ ლიცენზიას ტრასისთვის სპეციალურ პირობებზე, თუმცა ტრასა, რომელსაც აქვს მხოლოდ ეროვნული ლიცენზია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას საერთაშორისო და მსოფლიო რეკორდების დამყარების მცდელობებისთვის.

5.6. ტრასის ლიცენზიაში მითითებული აუცილებელი ინფორმაცია - ტრასის ლიცენზიაში უნდა ჩანდეს მისი სიგრძე, ასევე მოცემული იყოს ინფორმაცია, რა რეკორდების დამყარების მცდელობისთვის არის ის დაწესებული.

თუ მოცემული ტრასისთვის არსებობს სპეციალური წესები, ისინი უნდა იყოს ლიცენზიის ტექსტში.

5.7. აუცილებელი მოთხოვნები მუდმივ და დროებით ტრასებთან - აუცილებელი მოთხოვნები მუდმივ და დროებით ტრასებთან შეიმუშავება და პერიოდულად ქვეყნდება სსფ-ს და სსსფ-ს მიერ.

5.8. ტრასის მოქმედი ლიცენზია - მთელი შეჯიბრის განმავლობაში ნაჩვენები უნდა იყოს ოფიციალურ საინფორმაციო დაფაზე.

TOP

თავი VI. სტარტები. რბოლები.

6.1. სტარტი

6.1.1. სტარტი წარმოადგენს იმ მომენტს, როდესაც სტარტის ბრძანება ეძლევა ერთ ან ერთდროულად რამოდენიმე მონაწილეს. მოძრაობისას სტარტის გამოყენების შემთხვევაში ქრონომეტრაჟი უნდა იწყებოდეს სტარტის ხაზიდან.

არსებობს სტარტის რამოდენიმე სახეობა:
6.1.1.1. სტარტი "მოძრაობისას".

6.1.1.2. სტარტი "ადგილიდან".

6.1.2. მონაწილეები განლაგდებიან სტარტზე მდგომებად და სტარტს იღებენ სასტარტო სიგნალის მიცემის მომენტში, რომელიც არავითარი გარემოებების შემთხვევაში არ მეორდება. განმეორებითი სტარტი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში სპორტული კომისრების გადაწყვეტილებით.

6.1.3. სტარტის სახეობა ყველა შეჯიბრისათვის, გარდა რეკორდის დამყარების მცდელობისა, მითითებულ უნდა იქნას შეჯიბრის რეგლამენტში.

6.2. სტარტის ხაზი

6.2.1. რეკორდების დამყარების მცდელობისათვის და შეჯიბრებში "მოძრაობისას" სტარტირებით, სტარტის ხაზია საკონტროლო ზოლი, რომლის გადაკვეთისას იწყება მოძრავი ავტომობილის (ების) ქრონომეტრაჟი.

6.2.2. "ადგილიდან" სტარტირებად შეჯიბრებში სტარტის ზოლია საკონტროლო ზოლი, რომლის მიმართაც სტარტის წინ დგება ავტომობილები (საჭიროების შემთხვევებში კი მრბოლელებიც).

ავტომობილების განლაგება სტარტზე და სასტარტო პოზიციების განსაზღვრის მეთოდი დგინდება შეჯიბრის რეგლამენტით.

სტარტი ბოქსებიდან:

- სასტარტო ხაზის ბოქსების წინ განლაგებისას, სასტარტო ბრძანების მიცემის შემდეგ მრბოლელს წრე ეთვლება გავლილად სტარტის ხაზის პირველად გადაკვეთის შემდეგ.
- სასტარტო ხაზის ბოქსების შემდეგ განლაგებისას, სასტარტო ბრძანების მიცემის შემდეგ, მრბოლელს წრე ეთვლება გავლილად სტარტის ხაზის მეორედ გადაკვეთის შემდეგ.

6.3. სტარტი "მოძრაობისას" - ამ დროს სატრანსპორტო საშუალება(ები) ქრონომეტრაჟის დაწყების მომენტში იმყოფება (იან) მოძრაობაში.

ასეთი სტარტის დროს მონაწილეთა ავტომობილები შეიძლება მიჰყვებოდნენ სტარტის მიმცემ მსაჯს, რომელიც სასტარტო ბრძანების მიცემის მომენტამდე იმყოფება წამყვან ავტომობილში ("პეის-კარში"). სტარტის მომენტად ამ დროს ითვლება პირველი ავტომობილის მიერ (მაგრამ არა "პეის-კარის" მიერ) სასტარტო ხაზის გადაკვეთის მომენტი.

6.4. სტარტი "ადგილიდან" - "ადგილიდან" სტარტის დროს, სასტარტო ბრძანების მიცემის მომენტში სატრანსპორტო საშუალება(ები) უძრავ მდგომარეობაშია.

სტარტის ადგილიდან რეკორდების დამყარების მცდელობისას ავტომობილი უნდა იქნას დაყენებული სტარტზე ისე,

რომ ქრონომეტრმა აჩვენოს არაუმეტეს **10** სმ სტარტის ხაზიდან.

"ადგილიდან" სტარტით დანარჩენი შეჯიბრისათვის სტარტზე დაყენებული ავტომობილის ძრავის მდგომარეობა (ჩართული ან გამორთული) მიეთითება შეჯიბრის რეგლამენტში.

ავტომობილებისათვის, რომლებიც სტარტს იღებენ თითო-თითო ან განლაგებულნი არიან ერთ ზოლზე:

- თუ ქრონომეტრაჟი ხორციელდება ავტომატური ქრონომეტრით, მაშინ ავტომობილები სტარტის ხაზზე უნდა განლაგდნენ ისე, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული ადგილიდან სტარტით რეკორდების დამყარების მცდელობისათვის.

- თუ ქრონომეტრაჟი ხორციელდება საათების ან ქრონომეტრაჟის სხვა ხელსაწყოთი, ხელის ჩამრთველით, ავტომობილები სტარტის წინ ისე უნდა განლაგდნენ, რომ მათი წინა ბორბლები ეხებოდეს სასტარტო ხაზს.

როგორიც არ უნდა იყოს შეჯიბრის რეგლამენტით განსაზღვრული ავტომობილების სასტარტო პოზიციები სტარტის ხაზთან მიმართებაში, ქრონომეტრაჟი იწყება სასტარტო ბრძანების მიცემის მომენტიდან. დახურულ წრიულ ტრასებზე რბოლებში ავტომობილები ქრონომეტრირდება პირველი ("გასახურებელი") წრის გავლისას მათ მიერ საკონტროლო ხაზის გადაკვეთის დროს, რომელიც განთავსებული ქრონომეტრაჟის პოსტის წინ, თუ შეჯიბრის რეგლამენტით რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული.

თუ შეჯიბრის მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულია მრბოლელის მიერ ავტომობილის შეცვლის შესაძლებლობა, ქრონომეტრირებული ვარჯიშების (საკონტროლო რბოლების) დასასრულს, ის იკავებს "სასტარტო განლაგებაში" თავის ადგილს, განსაზღვრულს ქრონომეტრირებული ვარჯიშებით (საკონტროლო რბოლებით) მხოლოდ იმ

შემთხვევაში, როცა ეს ავტომობილი მთლიანად იდენტურია იმისი, რომლითაც იცვლება. სხვაგვარად მას ეძლევა საშუალება სტარტი აიღოს მხოლოდ "სასტარტო განლაგების" ბოლო პოზიციებიდან.

საბოლოო "სასტარტო განლაგების" პუბლიკაციის შემდგომ ავტომობილების ადგილები, რომლებიც არ ახდენენ სტარტს რჩება ცარიელი და ყველა ავტომობილი იკავებს პოზიციებს სტარტზე მხოლოდ გამოქვეყნებული "სასტარტო განლაგების" თანახმად.

6.5. სტარტის მიმცემი მსაჯის ბრძანებები - მონაწილეები და ავტომობილები ექვემდებარებიან სტარტის მიმცემი მსაჯის ბრძანებებს მის მიერ დროშის აწევის მომენტიდან მისი დაშვების მომენტამდე.

დროშის მოძრაობები შეიძლება თანხლებული ან შეცვლილი იყოს სხვა წინასწარ შეთანხმებული სიგნალით.

მოასპარეზენი, რომლებიც არ გამოცხადდნენ სტარტის ასაღებად, განიხილებიან როგორც მონაწილეები, რომლებმაც სტარტი არ აიღეს.

ყველა საერთაშორისო თუ ეროვნულ ჩქაროსნულ შეჯიბრებში, რომელშიც სტარტი ეძლევა ხაზზე, სასტარტო ბრძანებას გასცემს რბოლის ხელმძღვანელი.

6.6. პენალიზაცია ფალს სტარტისთვის – ფალს სტარტად იწოდება ავტომობილის მიერ მოძრაობის დაწყება მისთვის განკუთვნილი სასტარტო პოზიციიდან სასტარტო ბრძანების მიცემის მომენტამდე.

პენალიზაციის პირობები მითითებული უნდა იყოს შეჯიბრის რეგლამენტში.

სპორტულ კომისრებს უფლება აქვთ შეამცირონ ან გაზარდონ აღნიშნული პენალიზაციის ოდენობა, შეჯიბრის რეგლამენტის პირობების ფარგლებში.

TOP

6.7. სტარტის მსაჯები - შეიძლება დაინიშნოს ერთი ან რამოდენიმე მსაჯი სტარტზე მეთვალყურეობისთვის, ვის მოვალეობებშიც შედის რბოლის ხელმძღვანელის დაუყოვნებლივი ინფორმირება ფალსტარტების ყველა შემთხვევის თაობაზე.

6.8. გარბენი - შეჯიბრი შეიძლება შედგებოდეს რამოდენიმე რბოლისგან, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ და ქვეყნდება პროგრამაში. გარბენების შემადგენლობა, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ასეთი ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიას.

6.9. თანასწორობა გარბენებში - ადგილთა გადანაწილების მეთოდი გარბენში რამოდენიმე მოასპარეზეთა თანასწორობის შემთხვევაში (ან რბოლათა სერიაში) შეიძლება გათვალისწინებულ იქნას შეჯიბრის რეგლამენტით, ხოლო მასში ასეთის ხსენების არ არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება სპორტული კომისრების გადაწყვეტილებით. თავად შეჯიბრი არ შეიძლება განმეორდეს არანაირი გარემოებების შემთხვევაში.

თავი VII. რეკორდები, საერთო პირობები.

7.1. იურისდიქცია - რეკორდის დამყარების მცდელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი განცხადებები განიხილება სსსფ-ში.

თუ სსსფ პრეტენზიას აცხადებს რეკორდების რეგისტრაციაზე, როგორც საერთაშორისო ან მსოფლიოს სტატუსის მქონე, ასეთი განცხადებები განიხილება სსფ-ს მიერ სსსფ-ს წარდგინებით.

7.2. რეკორდის დასამყარებლად გამოსადეგი სატრანსპორტო საშუალებები - ყოველი რეკორდი შეიძლება დამყარებულ იქნას მხოლოდ მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც შეესაბამება წინამდებარე კოდექსს.

7.3. რეკორდის აღიარება - აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ ადგილობრივი რეკორდები, საქართველოს რეკორდები, საერთაშორისო რეკორდები ავტომობილების კლასში, მსოფლიო რეკორდები და სიჩქარის მსოფლიო აბსოლიტური რეკორდები. ერთი და იგივე რეკორდი შეიძლება მიჩნეულ იყოს რეკორდად ერთდროულად ზემოთნახსენებ რამოდენიმე კატეგორიაში.

ტრეკებზე და გზებზე დამყარებულ რეკორდებს შორის განსხვავება არ კეთდება.

7.4. ავტომობილთა კლასში დამყარებული რეკორდები - რეკორდი, დამყარებული ავტომობილთა კლასში, შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიო რეკორდი, მაგრამ ის ვერ გახდება რეკორდი უფრო მაღალი კლასის ავტომობილებისათვის.

7.5. რეკორდების აღიარებული დროები და დისტანციები - საქართველოს, საერთაშორისო და მსოფლიო რეკორდების დასამყარებლად აღიარებულია მხოლოდ ისეთი დროები და დისტანციები, რომლებიც მოცემულია სსფ-ს სსკ-ს დანართში.

რბოლების ჩატარების პირობები ადგილობრივი რეკორდების დასამყარებლად რეგულირდება სსსფ–ს გადაწყვეტილებებით.

7.6. რბოლების მსვლელობისას დამყრებული რეკორდები - სარეკორდო მაჩვენებლები, დამყარებული რბოლების მსვლელობისას რეკორდებად აღიარებული არ არის.

7.7. რეკორდების დამყარების პირობები - რეკორდების დასამყარებლად რბოლების ჩატარების პირობები შედის სსფ-ს სსკ-ს დანართებში და სსსფ–ს სკ-ს შესაბამის დანართში.

7.8. საერთაშორისო ან მსოფლიო რეკორდის აღიარების პირობები - არ აღიარდება საერთაშორისო და მსოფლიო რეკორდები, დამყარებული ქვეყანაში, რომელიც არ არის წარდგენილი სსფ-ში. განსაკუთრებულ შემთხვევებში ასეთი რეკორდები შეიძლება აღიარებულ იქნას მათი დამყარების მცდელობის ჩატარებაზე სსფ-ს შესაბამისი ნებართვის არსებობის შემთხვევაში. ახალმა რეკორდმა უნდა გადააჭარბოს ძველს მინიმუმ 1%, რაც გამოითვლება რეკორდული დისტანციის გავლის საშუალო სიჩქარით, რომელიც გამოხატულია მილი/საათში ან კილომეტრი/საათში.

საერთაშორისო ან მსოფლიო რეკორდი აღიარებულია მხოლოდ მაშინ, თუ ის დამყარდა სსფ-ს მიერ ამ მიზნებისთვის მოწონებულ ტრასაზე.

7.9. რეკორდების რეგისტრაცია - საქართველოს ტერიტორიაზე დამყარებული ყველა რეკორდის რეგისტრის მფლობელია სსსფ, რომელიც გასცემს ადგილობრივი და ეროვნული რეკორდების სერტიფიკატებს.

მსოფლიო რეკორდების და კლასებში საერთაშორისო რეკორდების რეგისტრირების მფლობელია სსფ, რომელიც გასცემს ამ რეკორდების სერტიფიკატებს.

ორივე შემთხვევაში სერტიფიკატი გაიცემა სსფ-ს და სსსფ–ს მიერ დადგენილი სპორტული ბეგარის გადახდის შემდეგ.

7.10. რეკორდების გამოქვეყნება - არ დაიშვება რეკორდის დამყარების მცდელობის შედეგების გამოქვეყნება მის ოფიციალურ აღიარებამდე (რეგისტრაციის მოლოდინში), მოცემული პუბლიკაციის თანმხლები კარგად კითხვადი წარწერის "ექვემდებარება დამტკიცებას" გარეშე. მოცემული მოთხოვნის დარღვევა ავტომატურად იწვევს ამ რეკორდის არ აღიარებას. გარდა ამისა, სსსფ–ს მიერ შეიძლება დამატებით გამოყენებულ იქნას საჯარიმო სანქციები.

თავი VIII. მონაწილეები და მრბოლელები.

8.1. მონაწილეთა და მრბოლელთა რეგისტრაცია - მონაწილის ან მრბოლელის სტატუსით გამოსვლის ყველა მსურველმა უნდა მიმართოს სსსფ–ს ლიცენზიის მისაღებად.

მრბოლელი, რომელიც წარადგენს თავის ავტომობილს, ერთდროულად ხდება მონაწილეც და უნდა გააჩნდეს ორივე ზემოთხსენებული ლიცენზია.

8.2. ლიცენზიების გაცემა - ლიცენზია წარმოადგენს სერტიფიკატს, რომლის ფორმა დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ და შეიცავს სსსფ–ს სახელწოდებას და სიმბოლიკას.

სსსფ სსფ-ს სახელით გასცემს სსფ-ს სამი სახის საერთაშორისო ლიცენზიას: “ტრასის ლიცენზია”, “მრბოლელის ლიცენზია” (ყველა კატეგრიის, გარდა სუპერ ლიცენზიისა) და “მონაწილის ლიცენზია”.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსსფ გასცემს შემდეგ ეროვნულ ლიცენზიებს:

- ტრასის ლიცენზიას;
- ორგანიზატორის ლიცენზიას;
- მონაწილის ლიცენზიას;
- მრბოლელის ლიცენზიას;
- მსაჯის ლიცენზიას;
- მწრთვნელის ლიცენზიას;
- მექანიკოსის ლიცენზიას;
- გუნდის ლიცენზიას;

ეროვნული ლიცენზიების ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს სსსფ–ს გადაწყვეტილებით.

ყველა ეროვნული ლიცენზია მოქმედებს მხოლოდ იმ შეჯიბრისათვის და რეკორდის დამყარების მცდელობებისათვის, რომელიც ტარდება სსსფ–ს იურისდიქციის ქვეშ.

ეროვნული ლიცენზიების გაცემის წესი და მოქმედების ვადა რეგულირდება სსსფ–ს სპორტული კოდექსით და დამატებითი ნორმატიული აქტებით.

8.3. ლიცენზიების გაცემის უფლება – სსსფ-ს უფლება აქვს გასცეს ლიცენზიები:

8.3.1. საქართველოს მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე, რომელთაც გააჩნიათ საქართველოს სახელმწიფო რეგისტრაცია;

8.3.2. სსფ-ში წარმოდგენილი სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე შემდეგი პირობების დაცვის შემთხვევაში:

8.3.2.1. რომ შესაბამისმა ესფ-მ მისცა თანხმობა საქართველოსთვის ლიცენზიის გაცემაზე, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ერთ სუბიექტზე წელიწადში მხოლოდ ერთხელ;

8.3.2.2. რომ საქართველოს ტერიტორიაზე მათი ხანგრძლივი ყოფნის პერიოდი წარმოდგენილია ქვეყნის ესფ-ში, რომლის მოქალაქეებიც არიან ისინი;

8.3.2.3. რომ მათ მიერ ადრე მიღებული ქვეყნის ეროვნული ლიცენზიები, რომლის მოქალაქეები ისინი არიან, ჩაბარებულია შესაბამის ესფ-ში.

8.3.2.4. უცხო ქვეყნების მოქალაქეები, რომლებმაც თანხმობა მიიღეს სსსფ-ს ლიცენზიის მიღებაზე საკუთარი ესფ-სგან, კარგავენ საკუთარი ესფ-სგან ლიცენზიის მიღების უფლებას მიმდინარე წელიწადში.

TOP

8.3.2.5. დაუშვებელია ერთდროულად რამოდენიმე ქვეყნის ლიცენზიის დაუფლება.

8.3.2.6. სსფ-სთან შეთანხმებით სსსფ-ს უფლება აქვს გასცეს ლიცენზია სსფ-ს არაწევრი ქვეყნის მოქალაქეზე.

გამონაკლისს წარმოადგენს სსსფ–ს მიერ ატესტაცია გავლილი სპორტული ხელოვნების სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც უფლება აქვთ სსსფ–ს და მათი ესფ-ს ერთდროული თანხმობის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ არაუმეტეს ორ ამ სკოლის მიერ ორგანიზებულ ქართულ შეჯიბრში. ამ შემთხვევაში ისინი აბარებენ საკუთარ ეროვნულ ლიცენზიას სსსფ–ში, და საპირწონედ იღებენ დროებით ქართულ ლიცენზიას, რომელიც ამ შეჯიბრის დასრულებისას ისევ იცვლება მათ მიერ სსსფ–ში თავის ეროვნულ ლიცენზიაზე.

სსსფ–ს აგრეთვე აქვს უფლება გასცეს ლიცენზიები იმ ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან წარდგენილები ესფ-ში, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს ასეთი ლიცენზიის გაცემის უარის მიზეზების არსებობას ან არარსებობას.

8.4. სხვა ქვეყნების ესფ-ების ლიცენზიის მფლობელ საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა ქართულ შეჯიბრებში სსსფ–ს მიერ დაწესებული პირობებით.

8.5. მონაწილის ან მრბოლელის მოქალაქეობა - მონაწილე ან მრბოლელი, რომელმაც მიიღო ამა თუ იმ ესფ-ს ლიცენზია, ამ ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, ასპარეზობს ამ ქვეყნის სახელით.

შენიშვნა 1. მონაწილე ან მრბოლელი, რომელმაც ასეთი გზით მიიღო საქართველოს მოქალაქეობა, ვალდებულია საკუთარ ავტომობილზე ატაროს საქართველოს ეროვნული დროშა.

შენიშვნა 2. სსფ-ს მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილე მრბოლელები ყველა ოფიციალურ დოკუმენტში და საინფორმაციო ბიულეტინში იტოვებენ საკუთარ მოქალაქეობას, რომელიც განსაზღვრულია პასპორტით.

8.6. უარი ლიცენზიის გაცემაზე – სსფ-ს და სსსფ–ს შეუძლიათ უარი უთხრან პრეტენდენტს ლიცენზიის გაცემაზე, თუ ის არ შეესაბამება მის მიმართ წაყენებულ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს. ასეთი უარის მიზეზები უნდა დასაბუთდეს.

8.7. ლიცენზიის მოქმედების ვადა - ლიცენზია მოქმედია იმ წლის **31** დეკემბრამდე, რომელშიც ის გაიცა.

8.8. ლიცენზიის გადასახადი - სპორტული ბაჟი, რომელიც გადაიხდება ლიცენზიისთვის. ეროვნული ლიცენზიის გაცემისათვის ბაჟის სიდიდე დგინდება სსსფ–ს მიერ, ხოლო საერთაშორისო ლიცენზიის, სსფ-სთან შეთანხმებით სსსფ-ს გადაწყვეტილებებით.

8.9. ლიცენზიების მოქმედება - სსსფ-ს მიერ გაცემული საერთაშორისო ლიცენზიები ძალაშია სსფ-ს წევრი ყველა ქვეყნაში, ხოლო ეროვნული ლიცენზია სსსფ-ს სპორტულ კალენდარში შემავალი ყველა ეროვნულ შეჯიბრებაში. ლიცენზიები აუცილებლად უნდა შეიცავდეს მათი მფლობელის სახელს ან სახელწოდებას.

ამავდროულად შეზღუდულ შეჯიბრებში მონაწილეობისათვის საჭიროა ამ შეჯიბრებათა რეგლამენტით გათვალისწინებული დამატებითი პირობების დაცვა.

8.10. ლიცენზიის წარდგენა - ყველა პირი, რომელიც ლი-

ცენზირებას ექვემდებარება, ვალდებულია შეჯიბრების ოფიციალურ პირთა მოთხოვნისთანავე წარადგინოს ლიცენზია მისი მფლობელის ხელმოწერით.

8.11. ლიცენზიის ჩამორთმევა - ლიცენზია ექვემდებარება ჩამორთმევას ნებისმიერი პირისგან, ვინც რაიმე სახით მიიღო მონაწილეობა აკრძალულ შეჯიბრში. თუ ასეთი შეჯიბრი ჩატარდა არა სსსფ–ს იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე, მაშინ სსსფ ათანხმებს ვადას, რომლითაც ამოიღება ლიცენზია იმ ქვეყნის ესფ-დან, ვისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზეც ტარდებოდა ეს შეჯიბრი. თუ შეთანხმება სსსფ–ს და ამ ქვეყნის ესფ-ს შორის ვერ იქნა მიღწეული, გადაწყვეტილებას ლიცენზიის ამოღების ვადის დადგენის შესახებ იღებს სსფ.

8.12. სამედიცინო დაშვება შეჯიბრებზე - საერთაშორისო შეჯიბრებში მონაწილე მრბოლელებს უნდა ჰქონდეთ სსსფ-ს ან სხვა ქვეყნის ესფ-ს მიერ გაცემული საერთაშორისო ლიცენზია, რაც გულისხმობს, რომ მრბოლელს გავლილი აქვს სამედიცინო კონტროლი და აქვს საერთაშორისო სამედიცინო დაზღვევა.

8.13. ფსევდონიმი - ფსევდონიმის ქვეშ ლიცენზიის მისაღებად საჭიროა სსსფ–ში შეტანილ იქნას სპეციალური განცხადება, რის შემდეგ სსსფ–ს გადაწყვეტილებით ლიცენზია შეიძლება გაიცეს ამ ფსევდონიმის ქვეშ.

ფსევდონიმის ქვეშ დარეგისტრირებულ ლიცენზიის მფლობელს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო შეჯიბრებში ნებისმიერი სხვა სახელით.

ფსევდონიმის შეცვლა იწვევს იგივე პროცედურის გაფორმებას, რაც საჭიროა სახელის გასაფორმებლად.

ფსევდონიმის ქვეშ დარეგისტრირებული პირები ვერ დაუბრუნდებიან თავის ნამდვილ სახელს სსსფ–ს მიერ ამ სახელზე ახალი ლიცენზიის გაცემამდე.

8.14. მრბოლელის შეცვლა - რეკორდების დამყარების მცდელობების გარდა, შეჯიბრებში დაიშვება მრბოლელის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ასეთი საშუალება გათვალისწინებულია შეჯიბრის რეგლამენტით. შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ შეჯიბრის ხელმძღვანელის თანხმობით.

8.15. სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიკაცია - შეჯიბრის მსვლელობისას სატრანსპორტო საშუალებებზე უნდა იყოს განთავსებული კარგად შესამჩნევი ნომრები და სხვა მარკირებები, რაც პასუხობს შეჯიბრის რეგლამენტის მოთხოვნებს.

8.16. მონაწილეთა და მრბოლელთა ერთობლივი პასუხისმგებლობა -

მონაწილე (განმცხადებელი) პასუხისმგებელია საკუთარი მრბოლელების, მექანიკოსების და მგზავრების ყველა ქმედებაზე და დარღვევაზე, მაგრამ ასევე ყველა ზემოთაღნიშნული ატარებს პერსონალურ პასუხისმგებლობას წინამდებარე კოდექსის და სხვა სპორტული რეგულაციების დარღვევაზე.

8.17. ერთი შეჯიბრის მეორეთი შეცვლა - როგორც მონაწილე, ასევე მრბოლელი, რომელმაც შეიტანა განაცხადი საერთაშორისო შეჯიბრში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ ვერ აიღო მასში სტარტი სხვა იგივე დროს ჩატარებულ შეჯიბრში მონაწილეობის გამო, ექვემდებარება დროებით დისკვალიფიკაციას (ლიცენზიის ჩამორთმევით) ამ სხვა შეჯიბრის დაწყების მომენტიდან სსსფ–ს მიერ დადგენილი ვადით. თუ

TOP

ეს ორი შეჯიბრი ტარდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში, სსსფ და შესაბამისი ესფ თანხმდებიან მონაწილეზე ან მრბოლელზე დაკისრებული სასჯელის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სსფ.

8.18. საერთაშორისო და ეროვნულ შეჯიბრში მონაწილეობის მიღების განზრახვა - მონაწილეებს უნდა ახსოვდეთ, რომ საერთაშორისოდ ითვლება მხოლოდ ის შეჯიბრები, რომლებიც შეტანილია სსფ-ს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში, ხოლო ეროვნულს მიეკუთვნება სსსფ–ს ოფიციალურად გამოქვეყნებულ სპორტულ კალენდარში შესული შეჯიბრები.

ოფიციალურად არ აღიარებულ შეჯიბრებში მონაწილეობის მიღებისას, მონაწილეთა და მრბოლელთა მიმართ გამოიყენება სსსფ-ს სპორტული კოდექსით და სსფ-ს საერთაშორისო სპორტული კოდექსით განპირობებული სანქციები. თუმცა სსსფ–ს ლიცენზიის მფლობელის მონაწილეობა არაკლასიფიცირებულ ეროვნულ შეჯიბრში წინამდებარე კოდექსით დარღვევად არ ითვლება.

თავი IX. სატრანსპორტო საშუალებები.

9.1. სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია - ყველა შეჯიბრში (რეკორდის დამყარების მცდელობის გარდა) ავტომობილები კლასიფიცირდება როგორც კატეგორიებად, ასევე ძრავის მოცულობით (იხ. დანართი ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, კლასიფიკაცია და ტექნიკური მოთხოვნები სპორტულ შეჯიბრში მონაწილე ავტომობილებისადმი, ხოლო საერთაშორისო შეჯიბრისათვის სსფ-ს სსკ-ს "J" დანართი).

რეკორდის დამყარების მცდელობაში მონაწილე ავტომობილები კლასიფიცირდება სსფ-ს სსკ-ს "J" დანართის და სსსფ–ს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

შესაძლოა ავტომობილთა სხვა კლასიფიკაციაც, თუ ასეთი ტექნიკური მოთხოვნები გათვალისწინებულია დანართით. არაკლასიფიცირებადი შეჯიბრისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას განსხვავებული კლასიფიკაციის ტექნიკური მოთხივნების დანართი, რომელიც გათვალისწინებული კონკრეტული შეჯიბრის რეგლამენტით.

9.2. სახიფათო კონსტრუქციები - სპორტულ კომისრებს შეუძლიათ მოხსნან შეჯიბრიდან ავტომობილი, რომლის კონსტრუქციას ისინი ჩათვლიან სახიფათოდ.

9.3. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა - შეჯიბრებში მონაწილე ავტომობილებს უნდა გააჩნდეთ სახანძრო სისტემა რომელიც თავიდან აგვაცილებს მრბოლელის ადილზე ალის შეღწევას.

9.4. ავტომობილთა დროებითი ან სრული დისკვალიფიკაცია.

ა) გარკვეული ავტომობილის დროებითი ან სრული დისკვალიფიკაცია:

- სსსფ–ს, ისევე როგორც სსფ-ს, შეუძლია გარიცხოს, მოახდინოს ავტომობილის დროებითი ან სრული დისკვალიფიკაცია ერთი ან რამოდენიმე შეჯიბრების მსვლელობისას მონაწილის, მრბოლელის ან მწარმოებლის მიერ წინამდებარე კოდექსის ან სხვა სპორტული რეგგულაციის დარღვევის შემთხვევაში.

- თუ დისკვალიფიკაცია ატარებს საერთაშორისო ხასიათს, სსსფ ამის შესახებ აუწყებს სსფ-ს, რომელიც, თავის მხრივ ამცნობს ამას სხვა ესფ-ებს.

- სხვა ესფ-ს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ავტომობილის სსსფ–ს მიერ დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილების გამომტან ორგანოდ ამ სხვა ესფ-ს წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოდის სსფ.

ბ) საავტომობილო მარკის დროებითი ან სრული დისკვალიფიკაცია:

სსსფ –ს შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე დისკვალიფიკაცია გაუკეთოს ავტომობილის მარკას მწარმოებლის ან მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ წინამდებარე კოდექსის და სხვა სპორტული რეგულაციის დარღვევისთვის.

თუ სსსფ ჩათვლის, რომ მარკის დისკვალიფიკაცია უნდა ატარებდეს საერთაშორისო ხასიათს, ის მიმართავს სსფ-ს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დისკვალიფიკაციის თაობაზე თავისი საერთაშორისო სპორტული კოდექსის თანახმად.

9.5. რეკლამა ავტომობილებზე - ავტომობილებზე დაიშვება ნებისმიერი რეკლამა, რომელიც პასუხობს წინამდებარე კოდექსის თავი XVII მოთხოვნებს.

შეჯიბრის რეგლამენტირების საბუთები შეიძლება შეიცავდეს დამატებით მოთხოვნებს რეკლამის განთავსებისა და შინაარსის მიმართ.

9.6. ცრუ რეკლამა - მონაწილეები და ფირმები, რომლებიც რეკლამირებას უკეთებენ საავტომობილო სპორტის მიღწევებს, ვალდებულნი არიან დაიცვან საინფორმაციო სიზუსტე სარეკლამო მასალის გადმოცემისას მიღწევების პირობებზე, შეჯიბრებათა და რეკორდების სახეობაზე, მონაწილეთა/მრბოლელთა სახელებზე, ავტომობილის კატეგორიასა და კლასზე, დაკავებულ ადგილზე, შედეგზე და ა.შ.

ნებისმიერმა მიჩქმალვამ ან გადაჭარბებამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი რეკლამის პუბლიკაციისათვის პასუხისმგებელ პირებზე საჯარიმო სანქციის დაწესება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

დაუშვებელია სსსფ-ს ოფიციალური შეჯიბრის შედეგების გამოქვეყნება სსსფ–ს მიერ მათ დამტკიცებამდე იმის მითითების გარეშე, რომ მოცემული ინფორმაცია არის არაოფიციალური.

ამ შეჯიბრის შედეგების პუბლიკაციისას სავალდებულოა სსსფ–ს ლოგოტიპის გამოყენება და სსსფ–ს ოფიციალური შეჯიბრის ლოგოტიპის გამოყენება.

ზემოთხსენებული პირობების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სსსფ–ს მხრიდან სანქციების გამოყენება დამნაშავე მონაწილის, მწარმოებლის, მრბოლელის ან ორგანიზაციის მიმართ, ვინც პასუხისმგებელია მოცემულ პუბლიკაციაზე.

სხვადასხვა მწარმოებლების მიერ გამოშვებული დეტალებისგან აწყობილი სატრანსპორტო საშუალების დასახელებაზე პროტესტები ან დავები განიხილება სსსფ–ს სპეციალური კომისიის მიერ და თუ ამ მწარმოებლებს აქვთ სახელმწიფო რეგისტრაცია სხვადასხვა ქვეყნებში, მაშინ სსფს მიერ.

თავი X. ოფიციალური პირები, მსაჯები (მარშლები).

10.1. ოფიციალური პირი - ოფიციალური პირი ეს არის პირი, რომელიც ფლობს სსსფ-ს მიერ გაცემულ ოფიციალურ დამადასტურებელ დოკუმენტს. არავის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სსსფ-ს სპორტულ კალენდარში მითითებულ შეჯიბრებში, როგორც ოფიციალური პირი თუ იგი არ ფლობს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტს (გარდა სსფ-ს ეგიდით ჩატარებული შეჯიბრებისა, როდესაც სპორტული კომისრები ან შეჯიბრის ხელმძღვანელი ინიშნება სსფ-ს მიერ).

10.2. ოფიციალური პირების ჩამონათვალი – ოფიციალური პირები არიან პირები, რომელნიც წარდგენილი არიან ფედერაციის ან ორგანიზატორის მიერ შეჯიბრის მსვლელობისას გარკვეული ფუნქციების შესასრულებლად და რომელნიც აღჭურვილი არიან გარკვეული უფლებამოსილებებით. ოფიციალურ პირებს მიეკუთვნებიან:

- სპორტული კომისარი;
- რბოლის ხელმძღვანელი (დირექტორი და ა.შ.);
- მთავარი მსაჯი;
- შეჯიბრის მდივანი;
- უსაფრთხოების და მარშრუტის კომისარი;
- ქრონომეტრისტი;
- ტექნიკური კომისარი;
- ტექნიკური კონტროლიორი;
- სარემონტო-გასამართი ზონის (ბოქსების) კონტროლიორი და დახურული პარკის მსაჯი;
- მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცერი;
- მსაჯი დისტანციაზე;
- მესიგნალე;

- ფაქტების მსაჯი;
- სტარტის და ფინიშის ხაზის მსაჯი;
- ჰანდიკაპის მსაჯი.

10.3. მეთვალყურეობის და კონტროლის უფლება - ჩამოთვლილ ოფიციალური პირების გარდა სსსფ–ს უფლება აქვს: სსსფ–ს სპორტის საბჭოს წევრებს, საკუთარ სპორტულ კომიტეტებს და კომისიებს მიანიჭოს უფლება პერსონალურად უმეთვალყურეონ ნებისმიერი საავტომობილო შეჯიბრის ჩატარებას, რაც წინამდებარე კოდექსის თანახმად ტარდება, ასევე დაიცვან მისი კანონისმიერი დებულებები, თუ ეს საჭიროა შეჯიბრის ორგანიზატორების წინაშე.

ორგანიზებაზე და სსსფ–ს ოფიციალური შეჯიბრის ჩატარებაზე კონტროლის განსახორციელებლად სსსფ–ს შეუძლია დანიშნოს ერთი ან ორი დამკვირვებელი, ასევე დელეგატები ტექნიკურ საკითხებსა და უსაფრთხოებაში. შეჯიბრის ორგანიზატორები ვალდებულნი არიან მიაწოდონ მათ სრული ინფორმაცია შეჯიბრის შესახებ. აუცილებელია სსსფ–ს დელეგატთა კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზატორისათვის და მსაჯებისთვის გაკეთებული მითითებების შესრულება.

მეთვალყურეებს უფლება აქვთ იმყოფებოდნენ შეჯიბრის ჩატარების მთელს ტერიტორიაზე და მასთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებაზე. მეთვალყურეებს არა აქვთ უფლება პირდაპირ ან ირიბად მოახდინონ გავლენა შეჯიბრის მსვლელობაზე.

10.4. წარმომადგენლობა – ნებისმიერი მონაწილე, რომლის მრბოლელიც მონაწილეობს შეჯიბრში, სარგებლობს უფლებით, იყოლიოს წარმომადგენელი ორგანიზატორთან და ოფიციალურ პირებთან ურთიერთობისათვის.

TOP

10.5. ოფიციალურ პირთა სტრუქტურული ორგანიზება –

10.5.1. საერთაშორისო შეჯიბრისათვის და სსსფ–ს ოფიციალურ შეჯიბრისათვის საჭიროა მინიმუმ სამი სპორტული კომისარი (მათ შორის საერთაშორისო შეჯიბრისათვის ერთი მაინც არ უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მოქალაქეს) და რბოლის ხელმძღვანელი. ამ შემადგენლობას ამტკიცებს და ნიშნავს სსსფ.

10.5.2. კლასიფიცირებადი შეჯიბრისათვის მინიმუმ ერთი სპორტული კომისარი და რბოლის ხელმძღვანელი.

10.5.3. არაკლასიფიცირებადი შეჯიბრისათვის რბოლის ხელმძღვანელი.

10.5.4. შეჯიბრებში, სადაც განმსაზღვრელი ფაქტორი მთლიანად ან ნაწილობრივ არის დრო, უნდა დაინიშნოს მინიმუმ ერთი ქრონომეტრისტი.

10.5.5. ოფიციალურ პირთა დანარჩენი შემადგენლობა ინიშნება სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ.

10.6. სპორტული კომისრები - სპორტული კომისრები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს კოლეგიალურად ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ, ვისი სახელიც აუცილებლად მიეთითება შეჯიბრის რეგლამენტში. სპორტული კომისრების კოლეგიის თავმჯდომარე, პასუხისმგებელია კოლეგიის სხდომათა დაგეგმარებაზე და მათ ჩატარებაზე. ის ასევე პასუხისმგებელია დღის წესრიგის მომზადებაზე და სხდომათა პროტოკოლების შედგენაზე.

ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გად-

აწყვეტილების მიღების უფლება ეძლევა თავმჯდომარეს.

ერთი სპორტული კომისრის არსებობისას მასზე დელეგირებულია კოლეგიის ყველა უფლება და ვალდებულება.

თუ შეჯიბრში არ არის გათვალისწინებული სპორტული კომისრების მონაწილეობა კოლეგიის უფლებები და მოვალეობების დელეგირება ხდება რბოლის ხელმძღვანელზე.

10.7. ოფიციალურ პირთა დანიშვნა - ოფიციალური შეჯიბრისათვის სსსფ ნიშნავს მინიმუმ ერთ სპორტულ კომისარს. დანარჩენი ოფიციალური პირები შეიძლება დაინიშნოს ორგანიზატორის მიერ დამოუკიდებლად მათი სსსფ-სთან შეთანხმების გარეშე.

10.8. ოფიციალურ პირთა კვალიფიკაცია -ქრონომეტრისტები, ტექნიკური კომისრები, ტექნიკური კონტროლიორები და ჰანდიკაპის მსაჯები ინიშნებიან იმ პირთა რიცხვიდან, ვისაც გააჩნიათ კვალიფიკაცია და ჩართულია სსსფ–ს ყოველწლიურ სიებში მათი თანამდებობების მითითებით. მათ არ უნდა ჰქონდეთ კავშირი ნებისმიერ სავაჭრო, სამრეწველო ან სასწავლო ორგანიზაციასთან, რომელმაც შეიძლება პირდაპირი ან ირიბი გზით ნახოს სარგებელი შეჯიბრის შედეგებიდან.

10.9. ფუნქციების შეთავსება – სსსფ-ს თანხმობით ერთი და იგივე პირს შეუძლია ერთი და იგივე შეჯიბრზე შეასრულოს რამოდენიმე ფუნქცია შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში.

10.10. ფუნქციების შესრულების შეზღუდვა - ოფიციალურ პირებს უფლება აქვთ შეასრულონ მხოლოდ ის ფუნქციები, რომელთა შესასრულებლადაც ისინი არიან დანიშნულნი.

ოფიციალურ პირებს არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა ან შეასრულონ წარმომადგენლის ფუნქციები შეჯიბრში, რომელშიც ისინი ასრულებენ ოფიციალური პირის ფუნქციებს.

10.11. ოფიციალურ პირთა მუშაობის ანაზღაურება - სპორტული კომისრების სამუშაო არის საპატიო საზოგადოებრივი მოვალეობა. შეჯიბრის ორგანიზატორი ვალდებულია აიღოს თავის თავზე სპორტული კომისრების შეჯიბრზე ყოფნის და მგზავრობის ხარჯები, ძირითად სამუშაო ადგილზე ანაზღაურების კომპენსაციის ჩათვლით.

ყველა ოფიციალურ პირთა სამუშაო ანაზღაურდება შეჯიბრების ორგანიზატორთან სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე.

10.12. სპორტული კომისრების მოვალეობები - ასრულებენ რა თავის ფუნქციებს, სპორტული კომისრები პასუხს აგებენ მხოლოდ სსსფ–ს წინაშე წინამდებარე კოდექსის და სსსფ–ს და სსფ-ს სხვა სპორტული რეგლამენტაციის შესრულებაზე.

სპორტული კომისრების ფუნქციების შეთავსება ნებისმიერ სხვასთან სპორტულ შეჯიბრებში არ დაიშვება. გამონაკლისის სახით სპორტულ კომისრებს შეუძლიათ შეითავსონ თავისი ფუნქციები სსსფ–ს დელეგატის ტექნიკური ან უსაფრთხოების ფუნქციებთან ერთად.

სპორტული კომისრები ვალდებულნი არიან დროულად დაადასტურონ თავიანთი ხელმოწერებით შეჯიბრის შემდეგი დოკუმენტაცია:

- დაშვებული მონაწილეების სია;
- სასტარტო ოქმები;
- პროტესტების განხილვის შედეგების შეტყობინებები;
- შეჯიბრებათა შემაჯამებელი ოქმები;

- სპორტული კომისრების კოლეგიის სხდომათა ოქმები.

10.13. ოფიციალურ პირთა დანიშვნა მრავალეტაპიანი შეჯიბრისთვის - მრავალეტაპიან შეჯიბრებში მის ყოველ ეტაპზე შეიძლება დაინიშნოს სხვადასხვა ოფიციალური პირები.

იმ შემთხვევაში, როცა შეჯიბრის მდივანი (მთავარი მდივანი) ყველა ეტაპზე არ არის ერთი და იგივე პირი, დამატებით უნდა დაინიშნოს მთლიანი მრავალეტაპიანი შეჯიბრის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად მრავალეტაპიანი შეჯიბრის შედეგების შეჯამებას.

10.14. სპორტული კომისრების უფლებები – სპორტულ კომისრებს ნიშნავს სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ან პირთა ჯგუფი. შეჯიბრის მსვლელობისას სპორტული კომისრები უფლებამოსილნი არიან უმაღლესი სპორტული ხელისუფლებით, რაც მიმართულია წინამდებარე კოდექსის და სხვა სპორტული რეგლამენტაციის დაცვაზე. ისინი განიხილავენ და იღებენ გადაწყვეტილებებს ყველა პრეტენზიაზე (პროტესტზე), რომელიც შეიძლება გახდეს აპელაციის საფუძველი წინამდებარე კოდექსის XIII თავის შესაბამისად.

სპორტულ კომისრებს უფლება აქვთ:

- დანიშნონ პენალიზაცია შეჯიბრებათა რეგლამენტის დარღვევისას;
- საჭიროების შემთხვევაში შეჯიბრის რეგლამენტში შეიტანონ ცვლილებები;
- შეცვალონ გარბენების შემადგენლობა და რაოდენობა;
- დართონ ნება მრბოლელების შეცვლაზე;
- ნება დართონ ახალ სტარტზე, გარბენებში გათანაბრების შემთხვევაში;

- მიიღონ ან უარყონ მსაჯების მიერ მიღებული ნებისმიერი დასკვნები;
- გამოიყენონ პენალიზაცია და დააკისრონ ჯარიმები;
- შეჯიბრიდან მოხსნან მონაწილე;
- შეიტანონ კორექტივები ადგილების გადანაწილებაში;
- რბოლის ხელმძღვანელის წარდგინებით ჩამოაშორონ შეჯიბრს ნებისმიერი მრბოლელი, ვინც დაარღვია მრბოლელთა ქცევის წესები;
- გამორიცხონ ნებისმიერი მონაწილე ან მრბოლელი ერთი შეჯიბრიდან ან მისი ეტაპიდან, ვისი დაშვება შეჯიბრზე არის უკანონო, ან ვინც აღიარებულ იქნა დამნაშავედ უღირს ქცევაში ან მოტყუებით ქმედებებში;
- მათ შეუძლიათ გასცენ განკარგულება ტრასიდან ან შეჯიბრის ჩატარების ადგილიდან გააძეონ ნებისმიერი მონაწილე ან მრბოლელი, რომელმაც არ შეასრულა ოფიციალურ პირთა განკარგულებები;
- გადადონ შეჯიბრი ფორს-მაჟორული გარემოებების შემთხვევაში ან მისი ჩატარებისას სერიოზული საფრთხის არსებობის შემთხვევაში;
- შეიტანონ ცვლილებები შეჯიბრში, რაც ეხება სასტარტო და ფინიშის ხაზების (ადგილების) განლაგებას ან ნებისმიერ სხვა საკითხებს, ორგანიზატორისა ან რბოლის ხელმძღვანელის თხოვნით მონაწილეთა და მაყურებელთა უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე;
- მიიღონ გადაწყვეტილება შეჯიბრის შეწყვეტის თაობაზე;
- ერთი ან რამოდენიმე სპორტული კომისარის არყოფნის შემთხვევაში დანიშნონ ერთი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რამოდენიმე შემცვლელი პირი, განსაკუთრებით, როცა საჭიროა მინიმუმ სამი სპორტული კომისრის დასწრება.

10.15. რბოლის ხელმძღვანელის მოვალეობები – რბოლის ხელმძღვანელს ნიშნავს სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ან პირთა ჯგუფი. რბოლის ხელმძღვანელს შეუძლია ჰყავდეს ერთი ან რამოდენიმე მოადგილე, და ასვე შეასრულოს შეჯიბრის მდივნის ფუნქციები.

რბოლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს შეჯიბრის ჩატარებაზე რეგლამენტთან და მის პროგრამასთან სრულ შესაბამისობაში.

ოფიციალურ პირთა შორის სპორტული კომისრების არყოფნისას რბოლის ხელმძღვანელი ასრულებს აგრეთვე მათ ფუნქციებსაც.

რბოლის ხელმძღვანელი ვალდებულია:

- შეჯიბრის ჩატარების ადგილზე სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს მონაწილეთა და მაყურებელთა უსაფრთხოების საჭირო ზომები;
- უზრუნველყოს შეჯიბრის ოფიციალურ პირთა დასწრება საკუთარ სამუშაო ადგილებზე, მათი არყოფნის შემთხვევაში, სპორტული კომისრების დაუყოვნებლივი ინფორმირება ამის შესახებ;
- უზრუნველყოს ოფიციალური პირები ინფორმაციით, რომელიც საჭიროა მათი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისთვის;
- განახორციელოს შეჯიბრიდან მოხსნილთა, დროებით დისკვალიფიცირებულთა და დისკვალიფიცირებულთა არდაშვება;
- დარწმუნდეს, რომ ყველა ავტომობილს, საჭიროების შემთხვევაში კი ყველა მონაწილეს გააჩნია სასტარტო ნომრები, რომლებიც შეესაბამება გამოცხადებულს;
- დარწმუნდეს, რომ ყველა ავტომობილი იმართება შესაბამისი მრბოლელების მიერ და სტარტს იღებს შესაბამის ჯგუფებში და კლასებში;

- განათავსოს ავტომობილები სტარტზე და საჭიროების შემთხვევაში მისცეს სტარტი;
- გადასცეს სპორტულ კომისრებს განსახილველად შეჯიბრის პროგრამის ცვლილებების წინადადებები;
- გააკეთოს მოხსენება უღირსი ქცევის შემთხვევებზე, პროტესტებზე, ასევე სპორტული რეგლამენტაციის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ;
- მიიღოს პროტესტები და დაუყოვნებლივ გადასცეს ისინი განსახილველად სპორტულ კომისრებს;
- შეაგროვოს ქრონომეტრისტების, ტექნიკური კომისრების და კონტროლიორების, ტრასაზე მსაჯების ანგარიშები და სხვა ოფიციალური ინფორმაცია, შეჯიბრის შედეგების განსაზღვრისათვის საჭირო ინფორმაცია;
- პირადად მოამზადოს ან დაავალოს მდივანს მოამზადოს მონაცემები შეჯიბრის შემაჯამებელი და წარუდგინოს ისინი დასამტკიცებლად და ხელმოსაწერად სპორტულ კომისრებს.

10.16. შეჯიბრების მდივნების მოვალეობები – შეჯიბრის მდივანს ნიშნავს სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ან პირთა ჯგუფი.

10.16.1. სპორტული კომისრების კოლეგიის მდივანი:

- პასუხს აგებს სპორტული კომისრების კოლეგიის და სსსფ–ს დამკვირვებლის მუშაობის საინფორმაციო და მატერიალურ უზრუნველყოფაზე;
- პასუხს აგებს სპორტული კომისრების კოლეგიის სახელით გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობაზე;
- ეხმარება რბოლის ხელმძღვანელს შეჯიბრის დასკვნითი ანგარიშის მომზადებაში.

10.16.2. მთავარი მდივანი.

მთავარი მდივანი ორგანიზებას უწევს სამდივნოს მუშაობას და პასუხს აგებს ადმინისტრაციული შემოწმებების შედეგების უტყუარობაზე, მონაწილეთა და მრბოლელთა სიის და სასტარტო უწყისის მომზადებაზე, შეჯიბრის შედეგების განსაზღვრის სისწორეზე და მასთან დაკავშირებულ ყველა ოფიციალურ შეტყობინებაზე და პუბლიკაციაზე.

10.16.3. ***მდივანი.***

პასუხისმგებელია ინფორმაციის უტყუარობაზე სპორტული რეგლამენტაციის თანახმად. ის პირდაპირ ექვემდებარება მთავარ მდივანს, ხოლო უშუალოდ კი შესაბამისი სამსაჯო ჯგუფის ხელმძღვანელს.

10.17. უსაფრთხოების კომისარის მოვალეობები – უსაფრთხოების კომისარს ნიშნავს სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ან პირთა ჯგუფი. უსაფრთხოების და მარშრუტის კომისარი პასუხს აგებს სწორ არჩევანზე, ტრასის განზომილებასა და მოწყობილობაზე, ტრასაზე მსაჯების სწორ და დროულ განლაგებაზე, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების ცოდნაზე, ტრასის ტექნიკურ და სამედიცინო უზრუნველყოფაზე, აგრეთვე მასზე უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფაზე. შეჯიბრის დაწყებამდე ის ამზადებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გეგმას და ორგანიზებას უწევს მის დაცვას შეჯიბრის მსვლელობის პერიოდში.

შეჯიბრის მსვლელობისას ის კონტროლს უწევს მსაჯების და ტრასაზე შეჯიბრის სამსახურების მუშაობას, ხოლო მისი დასრულების შემდეგ აცხადებს ტრასის სპორტული მიზნებისთვის გამოყენების დასრულების თაობაზე და რბოლის ხელმძღვანელს წარუდგენს ანგარიშს მასზე მომხდარ ყველა შემთხვევაზე.

უსაფრთხოების და მარშრუტის კომისარს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამოდენიმე დამხმარე, რომელთაგან ყოველი აგებს პასუხს ტრასის მხოლოდ კონკრეტულ მონაკვეთზე.

10.18. ქრონომეტრისტთა მოვალეობები – ქრონომეტრისტები ინიშნებიან სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ და ვალდებულნი არიან:

- შეჯიბრის დაწყების წინ უპატაკონ რბოლის ხელმძღვანელს მათი სამსახურების და ხელსაწყოების მზადყოფნის თაობაზე და მიიღონ მათგან საჭირო ინსტრუქციები;
- ქრონომეტრაჟისთვის გამოიყენონ ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფენ დროის ფიქსაციას მოცემული შეჯიბრისთვის მითითებული სიზუსტით, ხოლო რეკორდების დამყარების მცდელობისათვის სიზუსტით არანაკლებ **0,01** წამი;
- გამოაცხადონ ყოველი მრბოლელის მიერ დისტანციის გასავლელად დახარჯული დრო ოქმში შესატანად;
- მოამზადონ და ხელი მოაწერონ ქრონომეტრაჟის ოქმებს მათი მთავარი მდივნისათვის გადასაცემად და/ან რბოლის ხელმძღვანელისათვის;
- პასუხს აგებენ დროის ჩანაწერების ორიგინალების შენახვაზე და გადასცემენ რბოლის ხელმძღვანელს დროის ჩანაწერების ორიგინალები;
- რბოლის ხელმძღვანელის და სპორტული კომისრების გარდა არავის არ შეატყობინონ დრო ან შედეგები, თუ მათ არ მიიღეს სხვა ინსტრუქციები ამ ოფიციალურ პირთა მხრიდან.

10.19. ტექნიკურ კომისართა მოვალეობები.

ტექნიკური კომისარი ვალდებულია:

- გაუწიოს ორგანიზება ტექნიკური კონტროლიორების,

სარემონტო-გასამართი ზონების (ბოქსების) კონტროლიორების და დახურული პარკების მსაჯების მუშაობას;

- ორგანიზება გაუწიოს შეჯიბრის რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა შეჯიბრის ჩატარებას ან ტექნიკურ შემოწმებებს რბოლის ხელმძღვანელის დავალებით;
- მოქმედი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად (დანართი "ტექნიკური მოთხოვნები") უზრუნველყოს შემოწმებების ჩატარება სსსფ-ს მიერ დამტკიცებული ინსტრუმენტის და ხელსაწყოს გამოყენებით;
- მოამზადოს, ხელი მოაწეროს და გადასცეს სპორტულ კომისრებს, რბოლის ხელმძღვანელს და მთავარ მდივანს ტექნიკური შემოწმებების ოქმები;
- არ შეატყობინოს ოფიციალური ინფორმაცია არავის, გარდა ზემოთაღნიშნული პირებისა.

10.20. ტექნიკური კონტროლიორების მოვალეობები:

- ჩაატარონ ავტომობილების შესაბამისობის შემოწმება მოქმედ ტექნიკურ მოთხოვნებთან (დანართი "ტექნიკური მოთხოვნები") და შეჯიბრის რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისობა განაცხადში მითითებულ კლასთან და ჯგუფთან, ასევე მრბოლელის საბუთების შემოწმება და შესაბამისობა მათი ეკიპირებისა (ჩაფხუტები, კომბინეზონები) მოქმედ რეგლამენტთან;
- გამოიყენონ მხოლოდ სსსფ–ს მიერ დამტკიცებული მაკონტროლებელი ხელსაწყოები და ინსტრუმენტები;
- დაუყოვნებლივ შეატყობინონ ტექნიკურ კომისარს ჩატარებული შემოწმებების შედეგებზე, ხოლო მისი თხოვნით მოამზადონ, ხელი მოაწერონ და გადასცენ მას ტექნიკური შემოწმებების ოქმები;
- არ შეატყობინონ არავის ოფიციალური ინფორმაცია, გარდა სპორტული კომისრებისა, რბოლის ხელმძღვანელისა და ტექნიკური კომისრებისა.

10.21. სარემონტო-გასამართი ზონების (ბოქსების) კონ-ტროლიორთა ვალდებულებები - სარემონტო-გასამარ-თი ზონების (ბოქსების) კონტროლიორები შეჯიბრის დროს თვალყურს ადევნებენ ავტომობილების ყველა სარემონ-ტო-გასამართ სამუშაოების ჩატარებას და არ უნდა დაუშვან შეჯიბრების რეგლამენტის დარღვევები.

10.22. დახურული პარკის კონტროლიორის ვალდებულე-ბები:

- დახურულ პარკში შეღწევის კონტროლი, მასში შესვლა ნებადართულია მხოლოდ მრბოლელებისათვის ავტომობილ-ის დაყენებისა და გამოყვანის მიზნით, აგრეთვე სპორტული კომისრებისათვის, რბოლის ხელმძღვანელისათვის, ტექნი-კური კომისრის, მეთვალყურეებისათვის და სსსფ–ს ტექნი-კური დელეგატისათვის;
- დახურული პარკის დაცვის მუშაობის ორგანიზება იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს მასში უცხო პირთა შეღწევა;
- დახურულ პარკში მყოფი ყველა პირისგან მისი რეჟიმის დაცვის მოთხოვნა;
- რბოლის ხელმძღვანელის და ტექნიკური კომისრის დაუყ-ოვნებლივი ინფორმირება დახურული პარკის რეჟიმის ყველა დარღვევის შესახებ;
- დახურულ პარკში მრბოლელების შესვლის/გამოსვლის დროის დაფიქსირება ოქმში ავტომობილების დაყენებისათ-ვის/ გამოყვანისათვის შეჯიბრის რეგლამენტის ან რბოლის ხელმძღვანელის ან ტექნიკური კომისარის მითითებების თა-ნახმად და შეჯიბრის დასრულებისას ოქმის ჩაბარება შეჯი-ბრის მთავარი მდივნისთვის, აგრეთვე უპატაკოს ტექნიკურ კომისარს თავისი მუშაობის შედეგების შესახებ და საჭიროე-ბის შემთხვევაში, ანგარიშის წარდგენა აღმოჩენილი დარ-ღვევების შესახებ.

10.23. მონაწილეებთან ურთიერთობის ოფიცრის მოვალეობები:

- შეჯიბრის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ოპერატიული კავშირი ოფიციალურ პირთა, მონაწილეთა და მრბოლელებს შორის;
- აგოს პასუხი მონაწილეებამდე, მრბოლელებამდე და შეჯიბრის ოფიციალურ პირებამდე მიტანილი ინფორმაციის სისრულესა და სინამდვილეზე;
- თავისი სამუშაოს გეგმის თანახმად დაესწროს ყველა ადმინისტრაციულ და ტექნიკურ შემოწმებებს სპორტული კომისრების კოლეგიის სხდომებსა და შეჯიბრის ჩატარების ადგილებს;
- აკონტროლოს შეჯიბრის ოფიციალური ტაბლოს მუშაობა და უზრუნველყოს შეჯიბრის შესახებ ინფორმაციიის პუბლიკაციის თანადართულობა;
- უპასუხოს მონაწილეების და მრბოლელების კითხვებს და დამოუკიდებლად მისცეთ მათ განმარტებები შესაბამის ოფიციალურ პირებთან კონსულტაციების შემდგომ;
- დაუყოვნებლივ მიაწოდოს მონაწილეებს და მრბოლელებს რბოლის ხელმძღვანელისაგან და სპორტული კომისრებისაგან მიღებული ინფორმაცია;
- მიაწოდოს რბოლის ხელმძღვანელს ინფორმაცია მონაწილეთა და მრბოლელთა შორის მორალური კლიმატის შესახებ;
- იქონიოს შეჯიბრის დროს მისი რეგლამენტით გათვალისწინებული განმასხვავებელი ნიშნები;
- შეჯიბრის დასრულებისას უპატაკოს სპორტულ კომისრებს და რბოლის ხელმძღვანელს თავისი სამუშაოს შედეგებზე.

10.24. მსაჯთა და მესიგნალეთა ვალდებულებები ტრასაზე - მსაჯებმა უნდა დაიკავონ, რბოლის ხელმძღვანელისგან ან საორგანიზაციო კომიტეტის მხრიდან მითითებუ-

ლი, სადამკვირებლო პოსტები (სამსაჯო პუნქტები) შეჯიბრის ტრასის გასწვრივ. თუ პოსტზე მუშაობს ორი ან მეტი მსაჯი, ერთ-ერთი მათგანი ინიშნება უფროსად. შეჯიბრის (გარბენის) დაწყების მომენტიდან, ყოველი პოსტის უფროსი მსაჯი იმყოფება რბოლის ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში, რომელსაც მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით (ტელეფონი, რადიოკავშირი, სიგნალები, კურიერი და ა.შ.) დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ყველა შემთხვევის თაობაზე და ავარიაზე, რომელიც მოხდა მისი პოსტის დაკვირვების სექტორში.

მესიგნალეებს ევალებათ განახორციელონ სადროშე ან ხმოვანი სიგნალიზაცია. ერთდროულად მათ შეიძლება შეასრულონ მსაჯების მოვალეობები ტრასაზე.

ყოველი შეჯიბრის დასრულებისას, ყველა სამსაჯო პუნქტის უფროსმა მსაჯმა უნდა უპატაკოს რბოლის ხელმძღვანელს მათ მიერ დაფიქსირებული ყველა შემთხვევისა და ავარიის შესახებ.

შეჯიბრის დროს მსაჯები ამცნობენ სამდივნოს მონაწილეთა მიერ მათი პოსტების გავლის თანმიმდევრობას, მათ შორის წრეების გავლის რიგითობას, თუ ეს შეჯიბრი წრიულ ტრასაზეა, თუ ეს მითითება მიღებულია რბოლის ხელმძღვანელისგან.

10.25. მსაჯთა მოვალეობები –

10.25.1. სტარტის მსაჯები: უზრუნველყოფენ სტარტის ხაზის წინ შეჯიბრის რეგლამენტით ან განსაზღვრული პირობებით მრბოლელების (ავტომობილების) განლაგებას. სტარტის უფროსი მსაჯი შეიძლება უფლებამოსილი იყოს რბოლის ხელმძღვანელის მიერ მისცეს სასტარტო ბრძანება.

10.25.2. ფინიშის ხაზის მსაჯები: შეჯიბრებში, სადაც უნდა დაფიქსირდეს მონაწილეთა მიერ ფინიშის ხაზის გადაკვეთის წესი, დანიშნული უნდა იყვნენ შესაბამისი კომპეტენციის მსაჯები ასეთი დასკვნის გამოსატანად.

10.25.3. ფაქტის მსაჯები: შეჯიბრებში, სადაც მოცემულია დასკვნა მომხდარი (ან არა) ფაქტის შესახებ, მაგ: სატრანსპორტო საშუალების მიერ მოცემული ხაზის შეხება ან გადაკვეთა ან სხვა მსგავს ფაქტებზე, რაც შეჯიბრის რეგლამენტით არის გათვალისწინებული, უნდა დაინიშნოს ერთი ან ორი ფაქტის მსაჯი, რომელიც პასუხისმგებელია ერთ ან რამოდენიმე ასეთ დასკვნაზე. ეს მსაჯები ყოველი ფაქტის ზედამხედველობისათვის ინიშნებიან ოფიციალურად.

10.25.4. მსაჯების დამხმარეები: ყოველ ზემოთჩამოთვლილ მსაჯს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამოდენიმე ოფიციალურად დანიშნული დამხმარე, მათ შორის უთანხმოების შემთხვევაში, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიღებულ იქნას პირადად მსაჯის მიერ.

10.26. პროტესტები - დაუშვებელია ფინიშის ხაზის მსაჯების და ფაქტების მსაჯების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაპროტესტება. მათი გადაწყვეტილებები არის საბოლოო, მაგრამ მათ შეიძლება გავლენა ვერ იქონიონ საბოლოო შედეგებზე, რადგან ეს გადაწყვეტილებები არ ითვალისწინებს მონაწილეთა მიერ ტრასის გავლის ყველა პირობას.

10.27. ფაქტები მსაჯობისთვის - ყველა მოვლენა, რომელიც კონტროლდება შეჯიბრის დროს ფაქტების მსაჯების მიერ, მითითებული უნდა იყოს შეჯიბრის რეგლამენტში.

TOP

10.28. მოხსენებები - ღონისძიების დასრულებისას ყოველმა მსაჯმა უნდა წარუდგინოს რბოლის ხელმძღვანელს მოხსენება თავისი სამუშაოს შესახებ წერილობითი ან ზეპირი ფორმით.

10.29. შეცდომები - თუ მსაჯი ჩათვლის, რომ მან დაუშვა შეცდომა, ის ვალდებულია რბოლის ხელმძღვანელის დახმარებით წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ სპორტული კომისრების კოლეგიას ყველა საჭირო კომენტარის ჩათვლით და ეს კოლეგია გამოიტანს საბოლოო გადაწყვეტილებას.

10.30. ვიდეო ან ელექტრონული სისტემები - სპორტულ კომისრებს შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ვიდეო და ელექტრონული სისტემები გადაწყვეტილების მისაღებად და სპორტული კომისრების ასეთმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება ანულირება გაუკეთოს ფაქტების მსაჯების გადაწყვეტილებებს.

10.31. ჰანდიკაპის მსაჯების მოვალეობები - განაცხადების მიღების ვადის დასრულების შემდეგ, ჰანდიკაპის მსაჯებმა უნდა მოამზადონ ჰანდიკაპი შეჯიბრების რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

თავი XI. პენალიზაცია, ჯარიმები, დისკვალიფიკაცია

11.1. სპორტული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა - ქვემოთ მითითებული ფაქტები და მოვლენები, წინამდებარე კოდექსით კვალიფიცირდება როგორც დარღვევები, კერძოდ:

11.1.1. შეჯიბრებში ოფიციალური მოვალეობების შემსრულებლის ან შეჯიბრებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ფუნქციების შემსრულებელი პირის ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოსყიდვის მცდელობა;

11.1.2. განაცხადი ავტომობილზე ან ავტომობილის შეჯიბრში მონაწილეობა, რომელსაც არა აქვს შეჯიბრზე დაშვების უფლება და ნებისმიერი ამასთან დაკავშირებული ქმედებები;

11.1.3. უღირსი ქცევა ან მოქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს ნებისმიერი შეჯიბრის ინტერესებს ან საავტომობილო სპორტს ზოგადად.

11.2. პენალიზაცია - წინამდებარე კოდექსის და მისი დანართების, სსსფ-ს სხვა ნორმატიული დოკუმენტების, ნებისმიერი შეჯიბრის რეგლამენტის დარღვევები, დაშვებული ორგანიზატორის, ოფიციალური პირების, მონაწილეების, მრბოლელების ან ნებისმიერი სხვა პირების ან ორგანიზაციების მიერ შეიძლება პენალიზირებულ ან დაჯარიმებულ იქნას.

პენალიზაცია ან ჯარიმები შეიძლება დაკისრებულ იქნას სპორტული კომისრების ან სსსფ-ს მხრიდან, როგორც მოცემულია შემდეგ მუხლებში.

დოპინგის საშუალებების გამოყენების შემთხვევები ყოველთვის განიხილება უშუალოდ სსსფ-ს მიერ, ხოლო ყველაზე სერიოზული დარღვევები სსფ-ს მიერ.

TOP

შემდეგი მუხლების მითითების მიუხედავად, სსსფ-ს შეუძლია მისი დამკვირვებლების ან მის მიერ დანიშნული სპორტული კომისრების წინადადებით და ანგარიშის საფუძველზე დააკისროს პენალიზაცია ან ჯარიმა ნებისმიერ ზემოთაღნიშნულ პირს.

სსსფ-ს კომიტეტებს შეჯიბრის სახეობების მიხედვით მონაწილეების ან მრბოლელების მიმართ შეუძლიათ გამოიყენონ შემდეგი სახის დასჯა: დროებითი დისკვალიფიკაცია ერთი ან მეტი ეტაპის განმავლობაში, ფულადი ჯარიმა, ჩემპიონატის ქულების ანულირება. ეს სასჯელები შეიძლება დაჯამდეს ან გამოყენებულ იქნას გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულების ვადის გადაწევით.

11.3. დასჯის სახეობები (სიმკაცრის გაზრდის თანახმად)

- შენიშვნა (ან საზოგადოებრივი კრიტიკა);
- ფულადი ჯარიმა;
- საჯარიმო დრო (დროის ერთეულებში გამოხატული პენალიზაცია);
- შეჯიბრიდან მოხსნა (შედეგის ანულირება);
- დროებითი დისკვალიფიკაცია;
- დისკვალიფიკაცია.
- მომავალ რბოლაში სასტარტო პოზიციის განსაზღვრა;

ნებისმიერი ზემოთმითითებული სასჯელი შეიძლება დაკისრებულ იქნას მხოლოდ ყველა გარემოების შესწავლის შემდგომ, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს თავისი არგუმენტები.

11.4. ფულადი ჯარიმები - ჯარიმა შეიძლება დაეკისროს ნებისმიერ მონაწილეს, მრბოლელს, პერსონალს ან მგზავრს, რომელიც არ იცავს რეგლამენტის მოთხოვნებს ან შეჯიბრის ოფიციალურ პირთა მითითებებს.

ჯარიმის დაკისრების განკარგულება შეიძლება გაიცეს სპორტული კომისრების ან უშუალოდ სსსფ-ს მიერ. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ეს ჯარიმები დაკისრებულია სპორტული კომისრების მიერ, ისინი ვერ გადააჭარბებენ სსსფ-ს მიერ ყოველწლიურად დადგენილ გარკვეულ თანხას. გარდა ამისა, ჯარიმები შეიძლება დაკისრებულ იქნას მხოლოდ ყველა სპორტული კომისრის კოლექტიური გადაწყვეტილების თანახმად და არა მხოლოდ ერთი მათგანის მიერ.

11.5. სპორტული კომისრების მიერ დაკისრებული მინიმალური და მაქსიმალური ფულადი ჯარიმა - სანამ წინამდებარე კოდექსში ან სსსფ-ს ოფიციალურ ბიულეტინში არ გამოქვეყნდა სხვა იმფორმაცია ჯარიმის ოდენობაზე, მაქსიმალური ჯარიმა, რომელიც შეიძლება დაკისრებულ იქნას სპორტული კომისრების მიერ, არ აღემატება სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთთვიანი სახელფასო განაკვეთის ათმაგ ოდენობას.

11.6. ფულადი ჯარიმების გადახდის ვალდებულება - პასუხისმგებელი ჯარიმების გადახდაზე, რომელიც დაეკისრა მრბოლელებს, პერსონალს, მგზავრებს და ა.შ., არის მრბოლელი, რომელმაც განაცხადში შიყვანა (წარადგინა) ეს პირები.

11.7. ფულადი ჯარიმების გადახდის დრო და წესი - ჯარიმები გადახდილ უნდა იქნას სსსფ-ს მიმართ, ჯარიმის დაკისრების განკარგულებაში მითითებულ დროში, მაგრამ არაუმეტეს **48** საათისა მისი განცხადებიდან.

გადასახადის ნებისმიერი დაყოვნება გამოიწვევს დროებით დისკვალიფიკაციას სანამ არ იქნება გადახდილი აღნიშნული ჯარიმა.

11.8. შეჯიბრიდან მოხსნა - გადაწყვეტილებას შეჯიბრიდან მოხსნის შესახებ იღებს სპორტული კომისარი ან შეჯიბრის ხელმძღვანელი. მონაწილე ან მრბოლელი შეიძლება ჩამოშორებულ იქნას ერთ ან რამოდენიმე შეჯიბრში მონაწილეობას. ყველა შემთხვევაში შეჯიბრიდან მოხსნა იწვევს საგანაცხადო შენატანების დაკარგვას, რომელიც რჩება შეჯიბრის ორგანიზატორთან.

11.9. დროებითი დისკვალიფიკაცია - დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ სსსფ-ს მიერ და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ სერიოზული დარღვევების შემთხვევაში.

დროებითი დისკვალიფიკაცია მისი მოქმედების პერიოდის განმავლობაში იწვევს მონაწილეობის უფლების დაკარგვას ნებისმიერ შეჯიბრში, რომელიც ტარდება საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ.

დროებითი დისკვალიფიკაციის დროს ძალას კარგავს ნებისმიერი განაცხადი შეჯიბრში მონაწილეობაზე და იწვევს ასეთი განაცხადისთვის გადახდილი შენატანების დაკარგვას.

11.10. ლიცენზიის ჩამორთმევა.

11.10.1. ეროვნული დრობითი დისკვალიფიკაცია.

დროებით დისკვალიფიცირებული ნებისმიერი მონაწილე ან მრბოლელი ვალდებულია ჩააბაროს საკუთარი ლიცენზია სსსფ-ში.

11.10.2. საერთაშორისო დროებითი დისკვალიფიკაცია.

ნებისმიერი მონაწილე ან მრბოლელი, რომელსაც აქვს საერთაშორისო დროებითი დისკვალიფიკაცია, ვალდებულია დააბრუნოს თავისი ლიცენზია სსსფ-ში, რომელიც მას

დაუბრუნდება მხოლოდ ამ დროებითი დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის შემდეგ.

ორივე ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში სსსფ-ში ლიცენზიის ჩაბარების დაგვიანება ემატება დროებითი დისკვალიფიკაციის მოქმედების ვადას.

11.11. დროებითი დისკვალიფიკაციის მოქმედება - გადაწყვეტილება ეროვნულ დროებით დისკვალიფიკაციაზე, გამოცხადებული სსსფ-ს მიერ, მოქმედია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

ხოლო თუ სსსფ-ს მიერ დადგენილი დროებითი დისკვალიფიკაცია არის საერთაშორისო, ის აცნობებს სსფ-ს სამდივნოს, რომელიც ამცნობს ყველა დანარჩენ ესფ-ებს. დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღინიშნება ყოველი ესფ-ს მიერ და ძალაში შედის შესაბამისი შეზღუდვები.

11.12. დისკვალიფიკაცია - დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება იწვევს დისკვალიფიცირებული პირის ნებისმიერი სპორტული უფლების სრულ დაკარგვას ნებისმიერ შეჯიბრში ნებისმიერი მოცულობით მონაწილეობაზე.

გადაწყვეტილება დისკვალიფიკაციის შესახებ შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ სსსფ-ს მიერ განსაკუთრებული სიმძიმის დარღვევის შემთხვევაში. ის იწვევს ყველა უწინდელი განაცხადის ძალის დაკარგვას და განაცხადის შენატანების დაკარგვას, რაც გაკეთდა დისკვალიფიცირებული პირის მიერ.

11.13. დისკვალიფიკაციის მოქმედება – საერთაშორისო დისკვალიფიკაცია უნდა ემცნოს ყველა ესფ-ს და თანახმად საერთაშორისო დისკვალიფიკაციის პირობებისა დარეგისტრირდეს მათ მიერ.

11.14. ესფ-ების ინფორმირება დისკვალიფიკაციის ან დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ - დისკვალიფიკაციისა ან დროებითი დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, როცა ის არის საერთაშორისო, ინფორმირებული უნდა იყოს ყველა ესფ, რომელიც ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ზომები და იმოქმედოს ისევე, როგორც მის მიერ გაცხადების შემთხვევაში.

11.15. დისკვალიფიკაციისა ან დროებითი დისკვალიფიკაციის მიზეზების ახსნა – სსფ-ს სამდივნოს და იმ პირის შეტყობინებისას, ვის მიმართაც განხორციელდა დისკვალიფიკაციისა ან დროებითი დისკვალიფიკაციის შესახებ განაჩენის გამოტანა, სსსფ ვალდებულია ახსნას ასეთი სასჯელის დაკისრების მიზეზები. ნებისმიერი გარემოებების შემთხვევაში, ეს მიზეზები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

11.16. დროებითი დისკვალიფიკაცია ან ავტომობილის დისკვალიფიკაცია - დროებითი დისკვალიფიკაციის ან დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება შეიძლება გამოცხადებულ იქნას რომელიმე კონკრეტული ავტომობილის ან ავტომობილის მარკის მიმართ.

11.17. ჯილდოების დაკარგვა – შეჯიბრიდან მოხსნილი, დროებით დისკვალიფიცირებული ან დისკვალიფიცირებული ნებისმიერი მონაწილე ან მრბოლელი კარგავს ნებისმიერი ჯილდოს მიღების უფლებას, რაც მოცემული შეჯიბრითაა დადგენილი.

სსსფ-ს მსაჯთა კოლეგია ვალდებულია დისკვალიფიცირებული მრბოლელის გამო შედეგებში დააფიქსიროს ცვლილებები და გადააგდილებები.

11.18. კლასიფიკაციის და ჯილდოების ცვლილება – კოდექსის შესაბამისად, სპორტულმა კომისრებმა უნდა განაცხადონ დაკავებულ ადგილებში ცვლილებაზე და ჯილდოების გადანაწილებაზე, აგრეთვე მიიღონ გადაწყვეტილება, შემაჯამებელ ოქმში, შეჯიბრიდან მოხსნილი მრბოლელის შემდგომი მრბოლელი დაიკავებს თუ არა საბოლოო კლასიფიკაციაში მის ადგილს.

11.19. სასჯელის გამოქვეყნება - სსსფ-ს უფლება აქვს თავისი გადაწყვეტილებების გამოქვეყნებაზე ამა თუ იმ პენალიზაციის თაობაზე, რომელიც მან დააკისრა ნებისმიერ პირს, ავტომობილს ან ავტომობილის მარკას. ამ პუბლიკაციებში მითითებულ პირებს, იტოვებენ რა ისინი მათ მიმართ მიყენებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას, არა აქვთ უფლება მოიმოქმედონ არანაირი ოფიციალური ქმედებანი სსსფ-ს, სსფ-ს ან შესაბამისი გადაწყვეტილების გამომქვეყნებელ პირებთან მიმართებაში.

11.20. სასჯელის შემსუბუქება – სსსფ-ს უფლება აქვს შეამციროს დროებითი დისკვალიფიკაციის ვადა მის გასვლამდე ან მოხსნას დისკვალიფიკაცია იმ პირობებით, რომლებიც მან ცალკე გადაწყვეტილებით უნდა განსაზღვროს.

თავი XII. პროტესტები. ჯილდოები.

12.1. პროტესტის უფლება - პროტესტის უფლება ეკუთვნის მხოლოდ მონაწილეს.

თუ მონაწილე არ ეთანხმება ერთდროულად რამოდენიმე მონაწილის მოქმედებას, შეჯიბრის კომისრების მოქმედებას და ა.შ. განსახილველად მან უნდა შეიტანოს შეჯიბრის სამდივნოში პროტესტები ყველაზე ცალ-ცალკე.

12.2. პროტესტის შეტანა - ყოველი პროტესტი უნდა შეტანილ იქნას წერილობითი ფორმით და თანხლებულ იქნას ფულადი შენატანით სსსფ-ს მიმართ, რომლის სიდიდე განისაზღვრება ყოველწლიურად სსსფ-ს რეგლამენტით შეჯიბრის სახეობის მიხედვით (ხოლო საერთაშორისო ოფიციალური შეჯიბრის დროს სსფ-ს მიერ). ეს ფულადი შენატანი უბრუნდება პროტესტის განმცხადებელს მხოლოდ მისი პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ან სსსფ-ს გადაწყვეტილებით.

12.3. პროტესტის გადამისამართება - შეჯიბრში წარმოშობილი პროტესტები იწერება რბოლის ხელმძღვანელის სახელზე.

რბოლის ხელმძღვანელის ან შეჯიბრის მდივნის დროებითი არყოფნის შემთხვევაში, პროტესტი უნდა გადაეცეს ნებისმიერ სპორტულ კომისარს.

სპორტული კომისრის ან შეჯიბრის ხელმძღვანელის ნებისმიერი გადაწყვეტილების (პროტესტი,შეჯიბრის მსვლელობის ან მის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები, შეჯიბრის შედეგები) შეცვლის ან გაუქმების უფლება აქვს სსსფ-ს მიერ სპეციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი პირს ან პირთა ჯგუფს.

12.4. პროტესტის შეტანის დრო:

12.4.1. პროტესტი მონაწილის, მრბოლელის ან ტრასის სიგრძესთან დაკავშირებით შეტანილ უდნა იქნასშეჯიბრის დასრულებიდან არაუგვიანეს **30** წუთისა.

12.4.2. პროტესტი ჰანდიკაპის ან რბოლის ჩატარების წესის წინააღმდეგ შეტანილ უნდა იქნას არაუგვიანეს ორი დღისა შეჯიბრის სტარტის გამოცხადებულ დრომდე.

12.4.3. პროტესტი ტექნიკური კომისარის, ტექნიკური კონტროლიორის ან აწონვის შედეგების გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ უნდა იქნას მონაწილის მიერ უშუალოდ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

12.4.4. პროტესტი ნებისმიერი შეცდომის ან შეჯიბრის დროს დაწესებული წესების დარღვევის წინააღმდეგ, რაც ეხება ავტომობილის ტექნიკურ რეგლამენტთან შეუსაბამობას ან კლასიფიკაციას შეჯიბრის შედეგებიდან გამომდინარე, უნდა შეტანილ იქნას არაუგვიანეს **30** წუთისა წინასწარი შედეგების პუბლიკაციიდან. გამონაკლისს წარმოადგენენ შემთხვევები, როცა პროტესტის შემტანს არ გააჩნდა ფიზიკური შესაძლებლობა ამ პროტესტის დროულად შეტანისა, რისი ფაქტიც დგინდება მხოლოდ შეჯიბრის ხელმძღვანელის მიერ.

მხოლოდ რალი-რეიდერებისათვის და ტროფი-რეიდერებისათვის პროტესტის შეტანის ბოლო ვადაა წინასწარი შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი საათი.

მონაწილეები წინასწარ უნდა იქნან გაფრთხილებულნი ასეთი პუბლიკაციის ჩატარების დროსა და ადგილზე ან შეჯიბრის რეგლამენტში ან ბიულეტინში ან შეჯიბრის განრიგში. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორს არა აქვს საშუალება

TOP

გამოაქვეყნოს ოფიციალური შედეგები იმ სახით, როგორც ეს დადგენილია, ის ვალდებულია გამოაქვეყნოს ბიულეტინი, რომელიც დააზუსტებს კლასიფიკაციის დროისა და ადგილის დეტალებს და ამისათვის საჭირო ზომებს.

ე) ყველა ზემოთ მითითებული პროტესტი განიხილულ უნდა იქნას სპორტული კომისრების და შეჯიბრის ხელმძღვანელის მიერ, როგორც სასწრაფო.

სპორტულ კომისრებს შორის ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, კოლეგიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა.

12.5. მოსმენა - პროტესტის შემტანის და პროტესტთან დაკავშირებული ყველა მხარის მოსმენა შეძლებისდაგვარად უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ პროტესტის შეტანის მომენტიდან. მხარეები მიწვეულ უნდა იქნან მოსმენაზე და დასაშვებია ახლდეთ მოწმეები. სპორტული კომისრები უნდა დარწმუნდნენ, რომ მოწვევები მიღებულია ყველა პირის მიერ, ვისაც პროტესტი ეხება. შეჯიბრის ხელმძღვანელი ვალდებულია გააკონტროლოს მხარეების მოწვევის პროცესი. ნებისმიერი მხარის არყოფნისას ან მისი მოწმეების არყოფნისას, შეიძლება მიღებულ იქნას დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მათ შორის მეორე მხარის სასარგებლოდ. თუ პროტესტთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არ შეიძლება გაიცეს უშუალოდ ყველა მხარის მოსმენის შემდგომ, უდნა გამოცხადდეს დრო და ადგილი, სად და როდის გაიცემა ასეთი გადაწყვეტილება.

თუ შეჯიბრის ხელმძღვანელის მხრიდან მოსმენით ვერ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, მაშინ პროტესტს განიხილავს სსსფ-ს მსაჯთა კოლეგია და გადაწყვეტილებას ამცნობს დაინტერესებულ მხარეებს (სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიის მიერ შეიძლება მოეწყოს პროტესტის დახურული განხილვაც).

12.6. დაუშვებელი პროტესტები - აკრძალულია პროტესტები სტარტ-ფინიშის ხაზის და ფაქტების მსაჯების მიმართ, მათი სამსახურებრივი მოვალეობების დროს გამოტანილი გადაწყვეტილებების წინააააღმდეგ.

12.7. დაჯილდოება და პრიზების გადაცემა - პრიზების გადაცემა არ შეიძლება დაიწყოს შედეგების ოფიციალური გამოქვეყნებიდან **30** წუთზე ადრე (რალისთვის, რალი-რეიდისთვის და ტროფი-რეიდებისთვის არანაკლებ ერთი საათით ადრე).

მონაწილის მიერ მოგებული ჯილდო, ვის მიმართაც შეტანილია პროტესტი, არ გადაეცემა, სანამ არ გაირკვევა გადაწყვეტილება პროტესტის თაობაზე.

გარდა ამისა, ნებისმიერი პროტესტის შეტანის შემთხვევაში, რამაც შეიძლება შეცვალოს შეჯიბრის შემაჯამებელი ოქმის შინაარსი, ორგანიზატორებმა უნდა გამოაქვეყნონ მხოლოდ წინასწარი შედეგები და შეაყოვნონ დაჯილდოება მანამ, სანამ არ გაირკვევა საბოლოო დაგაწყვეტილება ყველა პროტესტის თაობაზე (აპელაციების ჩათვლით).

ამის მიუხედავად, როცა პროტესტს შეუძლია გავლენა იქონიოს მხოლოდ კლასიფიკაციის ნაწილზე, მისი დანარჩენი ნაწილები შეიძლება საბოლოოდ გამოქვეყნდეს და გადაცემულ იქნას შესაბამისი ჯილდოები.

12.8. დაჯილდოების შეყოვნება - უარყოფილი პროტესტის აპელაციის შემთხვევაში, სპორტულ კომისრებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება დაჯილდოების შეყოვნების შესახებ და მისი სხვა დროისთვის გადატანაზე, მაგრამ არც სპორტულ კომისრებს, არც სსსფ-ს არა აქვს უფლება გასცენ განკარგულება შეჯიბრის გამეორებაზე.

12.9. დაუსაბუთებელი პროტესტი - თუ შეჯიბრის ხელმძღვანელის მხრიდან პროტესტი მიჩნეულია დაუსაბუთებლად, ჩამოუყალიბებლად ან გაურკვევლად, ის არ განიხილება და ფულადი გირაო არ ბრუნდება.

თუ პროტესტი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გირაო შეიძლება დაბრუნდეს ნაწილობრივ ან სრულად.

გარდა ამისა, თუ დამტკიცდა, რომ პროტესტის ავტორი მოქმედებდა არაგულწრფელად ან არაკორექტულად, სსსფ-ს უფლება აქვს დააკისროს მას ერთ-ერთი სასჯელი, მოცემული წინამდებარე კოდექსიდან.

თავი XIII. აპელაცია

13.1. იურისდიქცია - წესდების თანახმად მოქმედი სააპელაციო სასამართლოსთვის სსსფ წარმოადგენს მისი ლიცენზიის მფლობელთათვის ბოლო ინსტანციის სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა დავები, წარმოშობილი საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად საავტომობილო სპორტში ან ნებისმიერ მის ცალკეულ შეჯიბრში.

ნებისმიერი დავისათვის, რომლებშიც ფიგურირებენ ლიცენზიის უცხოელი მფლობელები ან უცხოელი ფიზიკური ან იურიდიული პირები, სასამართლო სხდომას ნიშნავს ეროვნული სააპელაციო სასამართლო, რომლის შედეგი შეიძლება გასაჩივრდეს სსფ-ს საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოში.

რამოდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ჩატარებული შეჯიბრის ფარგლებში, ნებისმიერი აპელაციები სპორტული კომისრების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ განიხილება იმ ესფ-ს სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც შეიტანა განაცხადი ამ შეჯიბრის შეყვანაზე სსფ-ს საერთაშორისო სპორტულ კალენდარში.

საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული პროტესტები შეიძლება შეტანილ იქნას წესების შესაბამისად და პროცედურით, რაც განსაზღვრულია წესდებით სსფ-ს საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოს შესახებ.

13.2. სსსფ-ს სააპელაციო სასამართლო – სსსფ-ს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება სსსფ-ს სპორტულ კოდექსს და საქართველოს სახელმწიფო კანონს სპორტის შესახებ.

სსსფ ყოველწლიურად ამტკიცებს სიას ხუთი ადამიანის

შემადგენლობით, რომლებიც შეადგენენ სსსფ-ს სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება იყვნენ სსსფ-ს არაწევრი პირები. აღნიშნული ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს სსსფ-ს მსაჯთა კოლეგიისა და სსსფ-ს გამგეობის წევრებისაგან.

ამ სასამართლოს არც ერთი წევრი არ შეიძლება იყოს სასამართლოს განსახილველი სპორტული ღონისძიების მონაწილე, მრბოლელი ან ოფიციალური პირი, ან მიიღოს აპელაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ან იყოს პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული განსახილველ საკითხთან.

ყოველი კონკრეტული აპელაციის განსახილველად სსსფ-ს სააპელაციო სასამართლოს წესდების საფუძველზე სსსფ-ს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იწვევენ სააპელაციო კოლეგიის სხდომაში მონაწილეებს იმ პირთა რიცხვიდან, ვინც შედის მოცემულ სიაში.

ეს კოლეგია ირჩევს თავმჯდომარეს.

სხდომათა კოლეგიის გადაწყვეტილება ძალაში შევა, თუ სხდომას ესწრებოდა სააპელაციო სასამართლოს არანაკლებ სამი წევრისა და გადაწყვეტილება მიღებულია ხმათა უმრავლესობით.

13.3. აპელაციის პროცედურა - მონაწილეებს, მათი ეროვნების მიუხედავათ, უფლება აქვთ შეიტანონ აპელაცია ესფ-ს სააპელაციო სასამართლოს წინაშე იმ გადაწყვეტილებების საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოტანილია პროტესტის შედეგად სპორტული კომისრების მიერ იმ ტერიტორიაზე, სადაც ტარდება შეჯიბრი.

აპელაციის უფლების დაკარგვის საშიშროების გათვალისწინებით, მათ წერილობითი ფორმით უნდა შეატყობინონ სპორტულ კომისრებს თავიანთი განზრახვა აპელაციის შეტანის თაობაზე, რომლის წინააღმდეგაც შედის აპელაცია,

გამოქვეყნებიდან ერთი საათის განმავლობაში.

სსსფ-ში აპელაციის შეტანის უფლება შენარჩუნებულია ორი დღის განმავლობაში კომისრების მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თარიღიდან ზემოთხსენებული შეტყობინების არსებობის შემთხვევაში. აპელაცია შეიძლება გაიგზავნოს ფაქსით ან უშუალოდ სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, ადრესატის მიერ მისი მიღების დადასტურებით. ამავდროულად, იგივე დღეს სსსფ-ში უნდა გაიგზავნოს მისი ორიგინალიც.

სსსფ ვალდებულია დანიშნოს მოსმენა აპელაციის თაობაზე ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **30** დღეს.

აპელაციის მოსმენის თაობაზე ინფორმირებული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე. მათ უფლება აქვთ გამოიძახონ მოწმეები, მაგრამ მათი არყოფნა მოსმენაზე არ წარმოადგენს შეფერხებას აპეალციის განსახილველად.

13.4. აპელაციის ფორმა - ყოველი აპელაცია შეტანილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით და ხელმოწერილ იქნას აპელანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

სააპელაციო შენატანი, რომლის თანხაც დგინდება სსსფ-ს მიერ და გადაიხდება შეჯიბრის ორგანიზატორის მიერ სპორტული კომისრების შეტყობინებისას უშუალოდ სსსფ-ში და არ ბრუნდება, თუ აპელანტი არ მისდევს თავის გაცხადებულ განზრახვას მოახდინოს აპელაცია.

ეს შენატანი უნდა დაბრუნდეს **2** დღის განმავლობაში სპორტული კომისრების კოლეგიის აპელაციის განზრახვის შესახებ შეტყობინების მომენტიდან. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, აპელანტი მხარის ლიცენზია ავტომატურად შეჩერებულია გადახდის მომენტამდე.

ეს შენატანი (ან მისი ნებისმიერი ნაწილი) არ ბრუნდება აპელაციის გამოთხოვნის ან უარის თქმის შემთხვევაში.

შენატანი შეიძლება დაბრუნდეს სრულად ან ნაწილობრივ აპელაციის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

გარდა ამისა, თუ დადგინდა, რომ აპელაციის ავტორი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად, სსსფ-ს შეუძლია დააკისროს მას ნებისმიერი წინამდებარე კოდექსით გათვალისწინებული სასჯელი.

13.5. სასამართლოს გადაწყვეტილება - ეროვნულ და საერთაშორისო სააპელაციო სასამართლოს შეუძლია შეცვალოს აპელირებული პენალიზაცია ან გადაწყვეტილება, მაგრამ მას არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერი შეჯიბრის გამეორების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო ვალდებულია წარადგინოს საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთება.

13.6. სააპელაციო შენატანების დაბრუნება, აპელაციის ხარჯები - აპელაციის გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სააპელაციო შენატანის დაბრუნებაზე (სრულად ან ნაწილობრივ). ამავდროულად ის განსაზღვრავს დანახარჯების თანხას აპელაციის ხარჯების დასაფარად და წყვეტს რომელმა დაინტერესებულმა მხარემ უნდა დაფაროს ეს ხარჯები ან ყოფს ამ ხარჯებს მხარეებს შორის. ნებისმიერი უარი ხარჯების გადახდაზე შესაბამისი მხარეების მხრიდან იწვევს საჯარიმო სანქციების დაკისრებას მანამ, სანამ ხარჯები არ ანაზღაურდება.

13.7. სასამართლოს გადაწყვეტილების პუბლიკაცია – სსფ-ს და სსსფ-ს უფლება აქვთ გამოაქვეყნონ აპელაციების განხილვების შედეგები და დაასახელონ მხარეთა სახელები, რომელთაც აქვთ კავშირი აპელაციასთან.

მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას იტოვებენ რა პირები, დასახელებული ამ პუბლიკაციაში, მათ არა აქვთ უფლება იმოქმედონ სსფ-ს ან სსსფ-ს საწინააღმდეგოდ, ან ნებისმიერი პირების საწინააღმდეგოდ, ვინც გამოაქვეყნა ეს შედეგები.

კოდექსში არაფერი არ ეწინააღმდეგება მხარეთა მიერ საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოსათვის მიმართვას ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, იმ პირობების აუცილებელი დაცვით, რომ მხარემ წინასწარ ამოწურა ყველა არსებული საშუალება დავის გადასაწყვეტად.

13.8. საერთაშორისო აპელაცია – აპელაცია შეიძლება შეტანილ იქნას სსფ-ში შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ სსსფ-ში. საერთაშორისო აპელაციის ვადა განისაზღვრება სსსფ-ში გამოტანილი განაჩენიდან შვიდი დღის განმავლობაში, წერილობითი ფორმით და თან უნდა ახლდეს ფულადი გადასახადი.

13.9. საერთაშორისო სააპელაციო სასამართლო - სსსფ-ს უფლება აქვს ყოველწლიურად წარადგინოს თავისი კანდიდატურა საერთაშორისო სასამართლოში.

თავი XIV. კოდექსის მოქმედება.

14.1. წესების ეროვნული ინტერპრეტაცია – სსსფ არის ორგანო, რომელსაც აქვს სპორტული ხელისუფლება, წყვეტს საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებს, რომელიც ეხება სსფ-ს სსკ-ს და წინამდებარე კოდექსის ან საკუთარი ნორმატიული დოკუმენტების ინტერპრეტაციას, თუმცა იტოვებს საერთაშორისო აპელაციის უფლებას.

14.2. სსსფ-ს აღმასრულებელი ხელისუფლება – სსფ-ს გადაწყვეტილებით და აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოს სპორტის დარგში აკრედიტაციის საფუძველზე საავტომობილო სპორტში სპორტული ხელისუფლების განხორციელების უფლებით აღჭურვილი სსსფ, მისი გამგეობის გადაწყვეტილებით ნიშნავს სსსფ-ს საბჭოს სპორტში და დელეგირებას ახდენს ამ საბჭოზე წინამდებარე კოდექსით და ესფ-სთან მიმართებაში სსფ-ს სსკ-თი დადგენილ ფუნქციებს და უფლებამოსილებებს.

14.3. კოდექსის ცვლილებები – სსსფ იტოვებს უფლებას შეცვალოს წინამდებარე კოდექსი ნებისმიერ დროს და პერიოდულად გადახედოს მის დანართებს.

14.4. შეტყობინებები - ნებისმიერი დაინტერესებული პირების და ორგანიზაციების შეტყობინებები სსსფ-ში და სსფ-ში უნდა იყოს გადამისამართებული სსსფ-ს ან სსფ-ს შტაბ-ბინაში იმ მისამართებზე, რომლებიც დრო და დრო ეტყობინება მათ.

14.5. მოქმედების თარიღი - წინამდებარე კოდექსი შედის ძალაში და მოქმედებს **2015** წლის **27** ივლისიდან.

14.6. კოდექსის საერთაშორისო ინტერპრეტაცია - წინამ-დებარე კოდექსი შედგენილია ქართულ ენაზე. ის შეიძლება გამოქვეყნდეს სხვა ენებზეც. მის ინტერპრეტაციასთან დაკა-ვშირებულ დავებთან დაკავშირებით, როგორც ოფიციალური განიხილება მხოლოდ ქართული ტექსტი.

თავი XV. სსსფ-ს გადაწყვეტილებათა სტაბილიზაცია.

სსსფ ადგენს შემდეგ წესებს:

15.1. სსსფ ყოველწლიურად მიმდინარე წლის **31** დეკემბრამდე გამოაცხადებს საქართველოს ჩემპიონატებს, პირველობებს, სსსფ-ს ჩემპიონატებს, ტროფებს, სერიებს და თასებს შემდეგი წლისთვის და შეჯიბრებათა კალენდარს, რომელიც ამ ოფიციალური სპორტული ღონისძიებების ჩათვლაში გადის.

თუ სპორტული სეზონის განმავლობაში, სსსფ-ს ოფიციალურ შეჯიბრებათა შემადგენელ ნაწილში შემავალი ნებისმიერ შეჯიბრი უქმდება, ან მისი ორგანიზება ხდება სსსფ-ს ნორმატიული რეგლამენტის დარღვევით, ის კარგავს ოფიციალური შეჯიბრის სტატუსს მიმდინარე წელს.

შემდგომში ეს ფაქტი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სსსფ-ს მიერ შემდეგი წლის სპორტული კალენდრის ფორმირებისას.

15.2. ტექნიკური მოთხოვნების ყველა ცვლილებები ცხადდება მიმდინარე წლის **31** ოქტრომბრამდე და იწყებს მოქმედებას მომდევნო წლის **1** იანვრიდან. ზამთრის სატრეკო და ყინულზე რბოლებში მონაწილე ავტომობილების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების ცვლილებები ცხადდება მიმდინარე წლის **30** სექტემბრამდე და იწყებს მოქმედებას მიდინარე წლის **10** დეკემბრიდან მომდევნო წლის **10** დეკემბრამდე.

15.3. ცვლილებები, მიმართული უშუალოდ უსაფრთხოების გაზრდაზე იწყებს მოქმედებას გამოქვეყნების მომენტიდან.

15.4. ნებისმიერი სხვა რეგულაცია ცხადდება არაუგვიანეს მიმდინარე წლის **31** ოქტომბრისა და ძალაში შედის მომდევნო წლის **1** იანვრიდან.

თავი XVI. საავტომობილო სპორტთან დაკავშირებული კომერციული საკითხები

16.1. სსსფ-სთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე არც ერთ ორგანიზატორს ან საორგანიზაციო კომიტეტს, რომელთა შეჯიბრები არის სსსფ-ს ოფიციალური შეჯიბრებათა ნაწილი (ჩემპიონატები, პირველობები, ტროფეები, თასის გათამაშებები, ამხანაგური შეხვედრები და ა.შ.) არ შეუძლია მიუთითოს ან ამტკიცოს, რომ ზემოთნახსენები ოფიციალური შეჯიბრი სუბსიდირებულია ან პირდაპირი ან ირიბი გზით ფინანსურად მხარდაჭერილია კომერციული კომპანიის ან ორგანიზაციის მიერ.

16.2. კომერციული კომპანიის, ორგანიზაციის ან მისი განყოფილების სახელთან სსსფ-ს ჩემპიონატების, პირველობების, ტროფეების ან თასების დაკავშირების უფლება ეკუთვნის მხოლოდ სსსფ-ს.

თავი XVII. წესები შეჯიბრების სასტარტო ნომრებისთვის და რეკლამის განთავსება ავტომობილზე.

17.1. სასტარტო ნომრის შემადგენელი ციფრები უნდა იყოს მკვეთრი და კარგად გარჩევადი.

17.2. ციფრები უნდა იყოს კლასიკური ტიპის, როგორც ნაჩვენებია ქვემოთ: **1 2 3 4 5 6 7 8 9 0**

17.3. ყოველ ავტომობილზე (გარდა კარტისა) სასტარტო ნომრები დატანილი უნდა იყოს ავტომობილის ორივე მხარეს:

ყველა ავტომობილისათვის ციფრების მინიმალური სიმაღლე უნდა განისაზღვროს **20** სმ.

კარტებისთვის: იხილეთ "კლასიფიკაცია და ტექნიკური მოთხოვნები "კარტი" სარბოლო ავტომობილების მიმართ.

17.4. ავტომობილების ორივე მხარეს დატანილი უნდა იყოს საქართველოს დროშა, ისევე, როგოც მრბოლელის ან მრბოლელების სახელები, რომლებიც მართავენ ავტომობილს. დროშის და ასოების სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ **4** სმ.

17.5. ავტომობილებზე ორგანიზატორის მიერ მოწოდებული რეკლამა არის სავალდებულო, რაზეც მონაწილე უარს ვერ იტყვის ვერანაირი გარემოებების შემთხვევაში, თუ მან გააკეთა განაცხადი შეჯიბრში თავისი ავტომობილის მონაწილეობაზე და არასავალდებულოზე, რომლის დატანების ადგილებიც იჯავშნება ორგანიზატორის მიერ, მაგრამ შეიძლება გამოსყიდულ იქნას მისგან მონაწილის მიერ.

ორგანიზატორის მიერ მოწოდებული რეკლამის განთავსების ადგილები ავტომობილთა და შეჯიბრებათა სხვადასხვა

სახეობებისთვის მითითებულია შეჯიბრის რეგლამენტში ან შეჯიბრის კერძო რეგლამენტში.

არასავალდებულო რეკლამის განთავსების წესი ან მასზე უარის თქმის წესი მითითებულია შეჯიბრის კერძო რეგლამენტში.

ზემოთაღნიშნული შეზღუდვების გარდა, ძარის დანარჩენი ნაწილი მონაწილის შეხედულებისამებრ შეიძლება დაკავებული იყოს რეკლამით.

17.6. სასტარტო ნომრები არ უნდა აღემატებოდეს ძარის გაბარიტებს.

17.7. საქარე მინაზე და ფანჯრებზე შეიძლება განთავსდეს რეკლამა იმ პირობით, თუ ის არ აუარესებს მრბოლელის ხედვის არეს.

17.8. რეკლამა ისტორიულ ავტომობილებზე უნდა იყოს შემოფარგლული ორი ფართით თითო **50X14** სმ, ერთი ზედა და ერთი ქვედა სამი სასტარტო ნომრის პარალელურად (ყოველ ავტომობილს შეიძლება ჰქონდეს არაუმეტეს **4** ნომრისა). თუ არ არსებობს რეკლამის განსათავსებლად სივრცე ნებადართული სასტარტო ნომრების ზემოთ ან ქვემოთ, ის შეიძლება განლაგდეს გვერდზე, მაგრამ ყოველთვის უნდა ეხებოდეს ნომრის საზღვარს ან ფონს. ყოველი ნომრისათვის განკუთვნილი ორი ფართიდან ერთი შეიძლება იყოს განკუთვნილი ორგანიზატორისთვის. მონაწილეებს, შესაბამისად, არ შეუძლიათ უარი თქვან ამ რეკლამაზე.